გაზეთი ბევრის, „ვერსიას" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№19 (1045) 20 - 22 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ტუბერკულოზი „მეორე ებოლა"

მსოფლიო დაავადების ახალ შტამს ებრძვის, რა მდგომარეობაა საქართველოში?

გვ. 9

ექსკლუზიური ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან

მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას და როგორ აფასებს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს „საქართველოს გზის" საპატიო თავმჯდომარე

გვ. 3

რას ნიშნავს გახმაურებული დაჭერების სერია სხვადასხვა უწყებაში

გვ. 5

მთავრობამ ანტიკორუფციულ ღონისძიებებსა და საჯარო სამსახურების მმართველობის საკადრო პოლიტიკას უნდა გადახედოს

მაია რჩეულიშვილი სამკურნალო ტურიზმის განვითარებას გეგმავს

რატომ მიყიდა „ნაბეღლავი" მიხო სვიმონიშვილს, რატომ არ გაიკარებს რუსულ კაპიტალს, რა აპატია გიგი უგულავას და რა სიახლეს სთავაზობს ახლადდაქორწინებულებს „ცენტრ-პოინტის" დამფუძნებელი

გვ. 7

პარლამენტში ნინო ბურჯანაძის განდიდებულის ჩაგდების ნაციონალური გეგმა

გვ. 4

გივი თარგამაძე: „ოცნებას" ნამდვილად დავეხმარებით პრეზიდენტის კანდიდატის ჩაგდებაში

კრემლის ახალი სტრატეგია საქართველოს წინააღმდეგ

„რუსეთს თავისი ინტერესები აქვს, დასავლეთს თავისი სტრატეგია, ჩვენ გვაქვს ალტერნატივა"

რა პირობებით იღებს საქართველო უკრაინელ ლეგიონერებს

ციხის ფსიქიატრიულის კოშმარები

როგორ „გააფუჭეს" უჩხი ბიზნესმენის უდანაშაულო შვილი

გვ. 8

ვეტერანის დღიური

მთავრობას ლარის კურსი გაექცა

ეროვნული ვალუტის დასასტაბილურებლად, ხელისუფლება სსფ-ს დამატებით თანხას სთხოვს

ᲔᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

19 თებერვალს, ეროვნული ვალუტა, აშშ დოლართან მიმართებაში, 6 პუნქტით გაუფასურდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლითაც 20 თებერვლიდან, 1 აშშ დოლარს 2.1472 ლარად შეიძენთ. თუმცა კომერციულ ბანკებსა და სავალუტო ჯიხურებში, 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.2200 ლარი იყო. სპეციალისტები ლარის კურსის გაუფასურებას მომავალშიც ელიან, რაც ინფლაციურ პროცესს გამოიწვევს.

ლარის დევალვაცია 2014 წლის ნოემბრიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ-ი) მხოლოდ ერთხელ ჩაერია, 2015 წლის 30 იანვარს, როდესაც მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომა გაიმართა. ამ სხდომაზე სებ-მა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა და კომერციულ ბანკებს რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.5%-ით გაუზარდა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ სებ-ის ეს ნაბიჯი საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდისთვის ერთგვარი სიგნალი იყო, რასაც საბიუჯეტო და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება უნდა მოჰყოლოდა.

ჭარბი რაოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეჩერებული მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების სასწრაფოდ წამოწყება, საბიუჯეტო ხარჯების შემცირება და მთავრობის ეკონომიკური პროფილის უწყებების ხელმძღვანელების კოორდინირებული მუშაობა — ეს ის მთავარი ეკონომიკური რეცეპტია, რაც ლარის კურსს გაამყარებს. ცალკეულმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა ეს რეცეპტი არაერთხელ გამოუწერეს მთავრობას გასული წლის ნოემბრიდან დღემდე, მაგრამ უშედეგოდ!

ექსპერტების შეგონებას ვინ ჩივის, როდესაც ქვეყნის მთავარი ბანკის გადაწყვეტილებაც კი რეაგირების გარეშე რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას, ბიუჯეტის კორექტირება უნდა მოჰყოლოდა კვალდაკვალ. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც სებ-ის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ ოფიციალურად ისიც განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდის დაგეგმილი, 5%-იანი მაჩვენებელი უნდა შემცირებულიყო. მარტივად, ეს ნიშნავს, რომ 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 5%-იან ეკონომიკურ ზრდაზეა დაგეგმილი. ქადაგიძის განცხადებას კი ბიუჯეტის კორექტირება-შემცირება უნდა მოჰყოლოდა.

„ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა განაცხადა, ბოლო ორწელიწადნახევარში, ქართული ოცნების მთავარი მიღწევა ის არის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება არ განუხორციელებიაო. არადა, ბიუჯეტის კორექტირება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდი ცუდად მუშაობს, ან რაღაცას არასწორად გეგმავს. ლარის კურსის მოკლევადიან პერიოდში დასასტაბილურებლად, სახელმწიფო ბიუჯეტს შემცირება არ აწყენდა. პირიქით, გაბერილი ადმინისტრაციული ხარჯების კორექტირება, უფრო ნაკლები პრემიისა თუ დანამატის გამოწერა და კიდევ უფრო ნაკლები სოციალური ხარჯები, რაც ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს, „აბი გლუკოზასავით“, მალამოდ დაედებოდა „თავისუფალ, მცურავ რეჟიმში“ გაშვებულ ლარს.

ლარის კურსის მოკლე ვადაში დასასტაბილურებლად, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისიისგან, დამატებითი თანხა მოითხოვა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ვიცე-პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, მთავრობა სსფ-გან მიღებულ დამატებით თანხას ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩადებს: **„ექსპორტის წახალისების მექანიზმი მოკლევადიან ეფექტს არ მოგვიტანს. მოკლევადიან შედეგზე ორიენტირებული ზომები, რასაც ჩვენ ვიღებთ, ის არის, რომ 23 თებერვალს, სავალუტო ფონდის მისიასთან შეხვედრას ვგეგმავთ, სადაც ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგანაკვეთური პაკეტის მოცულობას განვიხილავთ. კაპიტალური დანახარჯების მიზნით, დამატებით ფულს მოვითხოვთ, რათა ინფრასტრუქტურულ პროექტებში დამატებითი ინვესტიციები განვახორციელოთ. ეს არის ის პირველადი ზომები, რაც ამ შემთხვევაში შექმნილი ვითარების ადეკვატურია“.**

სსფ-ს მისიისგან მიღებული დამატებითი თანხა, რომელიც ინვესტიციის სახით ჩაიდება ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ლარის კურსს მცირე ხნით დაასტაბილურებს. თუმცა კარგი იქნება, თუკი მთავრობის ეკონომიკური გუნდი სსფ-ს გარდა, სხვა საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებს დაარჩქარებს, რათა წლის განმავლობაში გამოყოფილი გრანტებისა და სესხების პირველი ტრანშები სწორედ ახლა, პირველ კვარტალში ჩაირიცხოს.

პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

ირაკლი ღარიბაშვილმა და ელმარ მაედიაროვმა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი თემები, რეგიონული პროექტები და თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს

მხარეებმა ყურადღება დაუთმეს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, კულტურისა და ჰუმანიტარულ სფეროებში ურთიერთობის საკითხებს. ხაზი გაესვა საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალს და ამ მიმართულებით თანამშრომლობის მნიშვნელობას, მათ შორის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტს. აღინიშნა, რომ საქართველოს და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისთვის დიდი პოტენციალი არსებობს. ამასთან, გამოითქვა კმაყოფილება ორი ქვეყნის ურთიერთობებში არსებულ პოზიტიურ დინამიკასთან დაკავშირებით. საუბარი ასევე შეეხო საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის აქტუალურ თემებს.

შეხვედრას ქართული მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში თეიმურაზ შარაშენიძე დაესწრნენ.

„პირველი“

ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხთა კოლეგამ ოფიციალური ვიზიტით ჩეხეთში მიიწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მიიწვიეს. მიწვევა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩეხი კოლეგის ბოგუსლავ სობოტკასგან მიიღო.

ვიზიტის მზადება უკვე მიმდინარეობს. ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის თარიღი ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტის შემდეგ გახდება ცნობილი.

„პირველი“

შსს-მ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1988 წელს დაბადებული მინდია ჭ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 17 აბი და აბის ნატეხები ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,13288 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით მინდია ჭ-ს ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ნარკოდანაშაული გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1977 წელს დაბადებული გიორგი ხ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 1 აბი და აბის 16 ნატეხი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,0552 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით, გიორგი ხ. დაკავებისას მარიხუანისა და „სუბუტექსის“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

„ოცნების“ საგარეო პოლიტიკაზე ჩასაფრებული ვარ და რამე მართლა რომ შეიცვალოს, არავის შევარჩენ!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას და როგორ აფასებს ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებს საღომე ზურაბიშვილი

„საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე, ექსმინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ამერიკიდან სულ ახლახან დაბრუნდა, „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე ესაუბრება: რატომ „ჩაუსაფრდა“ „ოცნებას“, ვის და რატომ დასჭირდა იური ვაზაგაშვილის აფეთქება, რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა ირაკლი ალასანიამ და შედგება თუ არა მისი პარტია რეალურ ოპოზიციად, რატომ არ უნდა ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები და რა გავლენას მოახდენს ოცნება-ნაციონალების დაპირისპირება ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებზე.

— საქართველოში ბოლოს 2014 წლის ნოემბერში იყავით — რა შეიცვალა ნოემბრიდან დღემდე, თქვენი აზრით, 2015 წელი სამართლიანობის აღდგენის წელია ქვეყანაში?

— ეს არჩევნების შემდეგ არსებული მოლოდინია — თუ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო და ასე გაგრძელდა, მისასალმებელია, თუმცა „პირველი“ სასამართლო პროცესების ჩატარება და გამოძიება არ ნიშნავს, რომ ეს სამართლიანობის აღდგენის ახალი ტალღაა.

— იმედია, ამისთვის თითო ადამიანის ვანდალურად აფეთქება არ იქნება საჭირო. იური ვაზაგაშვილის მკვლელობა შევაფასოთ, მით უმეტეს, ამ საქმეში სიახლე ისაა, რომ უეცრად, დამნაშავე, რომელიც დაიჭირეს, შესაძლოა, დამნაშავე არც აღმოჩნდეს, რადგან საფლავზე სხვა ადამიანების დნმ-ის კვალსაც მიაგნეს.

— ძალიან გაუგებარი საქმეა. კერძო საუბრებში ჩემი აზრის დაფიქსირება შემიძლია, მაგრამ ისეთი ხელშესახები არაფერი ვიცი, არც ფაქტები და მტკიცებულებები ჩანს, რომ თავს უფლება მივცე და დასკვნები გამოვიტანო. მხოლოდ იმის თქმა შემიძლება, რომ ეს ძალიან უცნაური და ტრაგიკული მოვლენა ქართულ ხასიათზე კარგად იყო გათვლილი. ამ ყველაფრის მიზანი ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედება იყო. არ ვიცი, არეულობის გამოწვევა უნდოდათ თუ ხალხის გამოღვიძება, მაგრამ ფაქტია, ეს საშინელი მკვლელობა შემთხვევითი არაა. იმედი მაქვს, ყველაფერი გაირკვევა და ამ თემაზე სპეკულაციები არ გაგრძელდება.

— ეს ხელისუფლების საქმეა და, ზოგადად, ძალაში რჩება თქვენი შეფასებები ხელისუფლების უმოქმედობის შესახებ, თუ რამე შეიცვალა?

— არასდროს მითქვამს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლით არაფერი შეცვლილა. ძალიან დიდი რამ მოხდა — ჩვენ თავისუფალ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, აღარაა შიში და ტერორი. თუმცა ეს არასაკმარისია. ხელისუფლებას ბევრი სისუსტე აქვს. როგორც ქვეყანა, ვერ ავმოქმედდებით, თუ ბიზნესმენებმა გრძელვადიანი სტაბილურობის პერსპექტივა ვერ დაინახეს და რეალური ეკონომიკური საქმიანობისთვის შესაბამისი პირობები არ შეექმნათ. მეორე თემაა სასამართლო — უნდა იგრძნო, რომ დაცული ხარ და შენს ბიზნესსა და ცხოვრებაში ვერავინ ჩაერევა. თუმცა რჩევების მიცემა მოქმედებაზე ადვილია.

— სასამართლო ახსენეთ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა პოლიტიკურ ომს რომ დაემსგავსა, ნორმალურია?

— კოალიცია მონოლითური არ არის, რომ მის შიგნით სხვადასხვა კანდიდატები არ არსებობდეს. ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. ცუდი ის იქნება, ასე თუ გაგრძელდება და ერთ კანდიდატზე ვერ შეთანხმდებიან. რაც შეიძლება წრაფად უნდა მიაღწიონ კონსესუსს და იმედია, ამას პარლამენტი მალე მიხვდება. ისიც ვიცით, რომ ეს პარლამენტი არადამაკმაყოფილებელია. ბევრი ადამიანი იქ შემთხვევით მოხვდა — რა უნდათ, თავადაც არ იციან. ასეთია არსებული რეალობა და ნუ გაგვიკვირდება, როცა მათ მაღალ მოთხოვნებს წავუყენებთ და შესაბამის შედეგებს ვერ მივიღებთ.

— ამიტომაცაა ვადამდელი არჩევნები მუდმივად აქტუალური, რასაც ფაქტობრივად, მთელი ოპოზიცია ითხოვს. ეს ხელისუფლების სისუსტის ნიშანია, ოპოზიციის სიძლიერის თუ ვითარების შეცვლის ერთადერთი გზაა?

— ვადამდელი არჩევნები არის გამოსავალი, როცა არ იცი, რა თქვა და რა გააკეთო. ეს ერთადერთია, რაც ოპოზიციას შეუძლია, ხალხს შესთავაზოს, თანაც ოპოზიციისთვის ეს თემა სულ აქტუალური იქნება, რადგან ხელისუფლებაში თვითონ უნდა მოსვლა. ვადამდელი არჩევნების კი არა, რეალური ოპოზიციის დროა, რაც დღევანდელ ხელისუფლებას ძალიან აკლია. „ოცნების“ ბრალია, რომ ნაციონალები ერთადერთ ოპოზიციად თავად დაინიშნა, რადგან მისთვის ასე უფრო კომფორტული იყო. ახლა ალასანიას პარტიის სახით ოპოზიცია შეიქმნა, რომელიც ჯერჯერობით, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ შეუძლია, რეალური ოპოზიცია გახდეს.

— აბა, ახლა ვინ არის?

— ახლახან გამოვიდნენ კოალიციიდან და თავიანთი ადგილი ვერ მონახეს. აუცილებელია, ქვეყანაში იყოს ოპოზიცია, რომელსაც მუდმივად ექნება ინიციატივები და ხელისუფლებას დინამიკაში, წნეხის ქვეშ ამყოფებს.

— ირაკლი ალასანიას განცხადების პათოსს ოპოზიციაში გადასვლის წინ, რომ ჩვენს დასავლურ კურსს საფრთხე ემუქრება, ეთანხმებით?

— არ ვიცი, ალასანია ოპოზიციაში ამ განცხადებით რატომ წავიდა. ეს დიდ შეცდომად მიმაჩნია, რადგან ყველაზე სერიოზული ბრალდებაა, რაც ხელისუფლებას შეიძლება წაუყენო. ამაზე ასე ყვირილი არასწორია, მით უმეტეს, როცა ფაქტები არ გაქვს და მეორე დღეს უკან იხევ. გამოდის, აწი ალასანიამ მგელი, მგელიო, რომ იყვიროს და მართალიც იყოს, აღარ დაუჯერებენ. ვერ ვხედავ სერიოზულ ფაქტებს, რომ რუსეთისკენ მივდივართ. „ოცნების“ საგარეო პოლიტიკაზე თუ ვინმეა ჩასაფრებული, სწორედ მე ვარ და რამე მართლა რომ შეიცვალოს, ამას არავის შევარჩენ! თუ ალასანიას ასეთი ეჭვები მართლა ჰქონდა, კოალიციიდან კი არ უნდა გასულიყო, ვითარება შიგნიდან უნდა გამოესწორებინა. თუ არადა, ეს პოლიტიკური სპეკულაციაა, ამის გაკეთება კი ასეთ თემაზე დაუშვებელია!

— მაშინ, ვინ არის დღეს ნამდვილი, ძლიერი ოპოზიცია ქვეყანაში, თუკი ეს არც ნაციონალები არიან და არც ალასანია — ბურჯანაძე, ინაშვილი, ნათელაშვილი?

— რა მესამე ძალაზე ლაპარაკობენ, როცა ქვეყანაში რეალური მეორე ძალა არ არსებობს?! მე ნინო ბურჯანაძის ხმა არ მესმის, თქვენ გესმით რამე? ირმა ინაშვილს მხოლოდ ერთი თემა აქვს — სამართლიანობის აღდგენა, მისგან სხვა არაფერი გამიგია. ჯერ ოპოზიცია უნდა გაძლიერდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება არჩევნებზე ფიქრი.

— თქვენც იზიარებთ აზრს, რომ ახლა ვადამდელი არჩევნები მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს?

— ლოგიკურად ასეა: ოპოზიცია შეუმდგარია, ნაციონალები ბევრს იმუქრებიან, ვბრუნდებითო, მაგრამ მაინც დისკრედიტებულნი არიან და რეალურ ძალას არ წარმოადგენენ, ამიტომ დღეს „ოცნებაში“, შესაძლოა, ვიღაცამ გათვალა, ახლა დავშალოთ პარლამენტი და ვადა 4 წლით გავიგრძელოთო. არადა, 2016 წელს „ოცნება“ ისევ იგივე უმრავლესობით რომ ვერ შევიდეს პარლამენტში და ალბათ, ასეც იქნება, ეს სრულიად ბუნებრივი, ჯანსაღი პროცესია. ეს ხელისუფლების არცთუ პრაგმატული ხედვაა — ჩემი აზრით, „ოცნება“ მოკლევადიან გათვლას აკეთებს და დიდ მოგებას ამით ვერ ნახავს. მთელი ეს არაჯანსაღი ვითარება იმის ბრალია, რომ პოლიტიკური სპექტრი არ განახლებულა. ბიძინა ივანიშვილმა დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ახალი გუნდის ნაცვლად, ძველი პარტიები აურია ერთმანეთში და ხელისუფლებაში ეს კოალიცია მოიყვანა. სახე ძველმა პოლიტიკოსებმაც დაკარგეს — რესპუბლიკელებმა, კონსერვატორებმა. არც იმის მჯერა, რომ ქვეყანაში საკმარისი კადრები არ არის და მაინცდამაინც ერთი და იგივე სახეები და სახელები უნდა ვატრიალოთ! ეს უკვე პარლამენტის საქმეა, რომელმაც პარტიათა დაფინანსების ახალი კანონმდებლობა უნდა მიიღოს და საარჩევნო გარემო შეცვალოს. მეტიც — ჩემს პარტიას ძალიან გაუჭირდა და დღეს, აქტიურ პოლიტიკურ ძალად აღარც არსებობს, დაფინანსება არ გვაქვს. კომისიებში კი წარმომადგენლები მაშინაც არ გვყოლია, როცა კვალიფიციური სუბიექტი ვიყავით. თუ ეს ყველაფერი არ შეიცვალა, პოლიტიკაში ახალი სახეები და აქტიური ახალგაზრდები აღარ წამოვლენ, პოლიტიკურ ჭაობში ჩასვლა აღარავის მოუნდება. გვყავს კიდევ ერთი, გარიყული ნაწილი — უცხოეთში მყოფი ჩვენი მოქალაქეები. ბევრი ადამიანი ვიცი, ვისაც ადგილობრივი არჩევნების დროს საქართველოში ჩამოსვლის, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჰქონდა და ამბობდა, მუნიციპალიტეტებში სიამოვნებით ვიმუშავებდიო.

— ამაზე საუბარიც არ არის — ემიგრანტებს ხომ საარჩევნო ხმის უფლებაც წაართვეს?!

— დიახ და ამით წაართვეს ქვეყნის პროცესებში ჩართვის უფლება. პოლიტიკოსი ზემოდან არ უნდა მოდიოდეს და მაშინვე მინისტრად არ უნდა ინიშნებოდეს. გამოცდილება ადგილობრივ თვითმმართველობაში თუ არ მიიღო და პატარა სოფელსაც ვერ მიხედა, იმას მთელი ქვეყნის მართვა როგორ უნდა ჩააბარო?! ეს განვითარების ბუნებრივი პროცესია, მაგრამ, რატომღაც, მიუღებლად მიგვაჩნია.

— თქვით, არ მჯერა, რომ აქ კადრებს ვერ პოულობენო. ალბათ, არც იმის გჯერათ, უკრაინა კადრების ნაკლებობას უჩივის. რას ნიშნავს ნაციონალების დანიშვნა უკრაინის ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე, რა ჰქვია ამას დიპლომატიურ ენაზე?

— არ ვიცი, უკრაინაში რა ხდება, რა გავლენები და ურთიერთობები მოქმედებს არ ყველაფერზე, მაგრამ ეს არასწორად მიმაჩნია. დიპლომატიურზე უკეთ, შიდაპოლიტიკურ ენაზე გეტყვით, რომ ეს აბსურდია. პირველი და უდიდესი დანაშაული უკრაინამ საკუთარი მოსახლეობის მიმართ ჩაიდინა, რადგან საქართველოდან ის ხალხი წაიყვანა, ვისი წარმატებაც აქ არავის უნახავს. ამ დროს, უკრაინას ძალიან ძლიერი დიასპორა ჰყავს საზღვარგარეთ და არ მესმის, ამას რატომ აკეთებენ. ვინ არის პოროშენკო და გავლენიანი სხვა პოლიტიკოსები უკრაინაში?! ზუსტად ვიცი, რა ხდებოდა ჩემს დროს — როცა უკრაინისგან იარაღს ვყიდულობდით და ოთხჯერ მეტს ვიხდიდით, სამაგიეროდ, მერე ეს ფული სააკაშვილის ბიძასთან, მის შვილთან და სააკაშვილთან მიდიოდა.

— მაშინ ანტიამერიკული პროპაგანდა რა საჭიროა — ამერიკა ანიშნინებს ნაციონალებს ამ პოსტებზეო. ნაციონალებისა და „ოცნების“ ეს დაპირისპირება უკრაინა-საქართველოს ურთიერთობას ხომ არ გადაიყოლებს?

— დიახ, ეს კამპანია საჭირო არ არის და სააკაშვილის პოლიტიკის გაგრძელებაა. მიშა, თუ რამე არ ვარგა, ამბობდა, ყველაფერი რუსეთის ბრალიაო. ახლაც იგივე ხდება და მგონი, ასეთ პოლიტიკაზე გაცილებით მაღალ უნდა დავდგეთ. ჩვენი მხრიდან კი ამ თემაზე ბევრი ყვირილი არასწორია, რადგან იქ უნდა ჩავდიოდეთ, ამაზე ვსაუბრობდეთ. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკრაინელებისთვის არასაკმარისადაა ახსნილი საქმის ვითარება. თუმცა უკრაინის მთავრობა ამაში რომც არ დაგვეთანხმოს, ეს საკმარისი მიზეზი არაა იმისთვის, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის სერიოზული დაპირისპირება დაიწყოს. მთელი მსოფლიო მიიჩნევს, რომ დღეს უკრაინას მხარში ყველა ქვეყანა უნდა დაუდგეს. საქართველოს პოზიცია კი ამ შეფასებებზე შორს ვერ წავა — ჩვენ მეგობრულ პოზიციას ვერ შეცვლით და არ უნდა შევცვალოთ!

— თქვენს პოლიტიკურ გეგმებზე მითხარით — ვიცი, ახლა კონკრეტულს არაფერს გეგმავთ, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობაზე არ ფიქრობთ?

— მართალი გითხრათ, არ ვიცი. ყველაფერი, პირველ რიგში, პირობებზეა დამოკიდებული. თუ არჩევნების დროს საშუალება არ მექნება, ღირსეულად წარვსდგე და რეალური შედეგი ვაჩვენო, მონაწილეობა აბსურდია. გეგმები თეორიული არ უნდა იყოს, რეალობიდან გამომდინარე უნდა ვიმსჯელო. თუმცა ჩემი მხრიდან, მზად ვარ, ამ ქვეყნის მშენებლობაში წვლილი შევიტანო, თუ ხალხში ამის სურვილი იქნება.

— ვიცი, ეს ბევრჯერ გკითხეს, მაგრამ არ მჯერა, რომ „ოცნებისგან“ არავითარი შემოთავაზება არ მიგიღიათ.

— ნუ დაიჯერებთ... მათგან არასდროს არანაირი შემოთავაზება არ მქონია. გააჩნია შემოთავაზებასაც და თეორიულად, ვერც ამაზე გიპასუხებთ.

— ხადურის მერე, ყველაზე ბევრ საყვედურს საგარეო საქმეთა სამინისტრო იღებს, შეგიძლიათ, ურჩიოთ რამე?

— ჩემი ხედვა მაქვს, მაგრამ ეს არასაკმარისია. არც ჩემს სურვილს აქვს მნიშვნელობა — ხედვა მაქვს, მაგრამ სჯობს, იმ ადგილას საერთოდ არ იყო, ვიდრე იყო და ვერაფერს აკეთებდე.

ვერსიანიუსი

„საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ისტორიული არჩევანია“

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის ის ისტორიული არჩევანი, რომელიც მტკიცედ განსაზღვრა და არაერთხელ დაიცვა ქართველმა ხალხმა: **„ეს არის ის ერთ-ერთი დაპირება, რომლის გამოც ქართველმა ხალხმა პრეზიდენტის მანდატი მომანიჭა. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილი ნაკარნახევია მხოლოდ ქვეყნის სტაბილურობის, განვითარების, მეტი დემოკრატიულობისა და წარმატების უზრუნველსაყოფად. ის ემსახურება საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას და არ არის მიმართული რომელიმე ქვეყნის სუვერენული ინტერესების წინააღმდეგ. დემოკრატიული, განვითარებული და უსაფრთხო საქართველო მისაღები უნდა იყოს ყველა იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც დაინტერესებულია თანამშრომლობის განვითარებითა და სტაბილურობით შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და მათი ანექსიისადმი გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველო ცდილობს, შექმნას ის გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ვითარების განმუხტვას და თუნდაც რაიმე სახის პოზიტიური ელემენტის გაჩენას საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება როგორც ჟენევის, ასევე აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები. ვთვლით, რომ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატის შინაარსი. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით მოხდეს აბაშიძე-კარასინის და ჟენევის მოლაპარაკებების კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული მუშაობა“.**

„პირველი“

„ოცნება“ და ნაციონალები პრეზიდენტისა და გვენეტაძის წინააღმდეგ?!

რა ხდებოდა უმრავლესობის სხდომაზე და ვის დაასახელებს პრეზიდენტი გვენეტაძის კანდიდატურის ჩაგდების შემთხვევაში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უზენაესი სასამართლოს პირველკაცობისთვის ბრძოლა საპარლამენტო და სასამართლო კულუარებში ერთდროულად მიდის, თუმცა საზოგადოებამდე მხოლოდ მწირი ინფორმაცია აღწევს. ნინო გვენეტაძის კანდიდატურა პრეზიდენტმა პარლამენტს ოფიციალურად წარადგინა. რეგლამენტის თანახმად, კომიტეტებსა და ფრაქციებში კანდიდატურის განხილვები ერთი კვირის განმავლობაში, ანუ მომავალ ოთხშაბათს უნდა ამოიწუროს. თუმცა 23 თებერვლამდე, კოტე კუბლაშვილის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევა მაინც არ ესწრება. ჯერჯერობით, უმრავლესობას გარკვეული მხოლოდ ის აქვს, რომ შაბათ-კვირას რაღაცაზე უნდა შეთანხმდნენ, რათა მომავალი კვირის ორშაბათ-სამშაბათს გვენეტაძეს თბილისში მოუსმინონ. წამყვანი კომიტეტი იურიდიული იქნება და დიდი ალბათობით, უმრავლესობის სხდომაზე გვენეტაძეს კოალიციის ყველა ფრაქცია ერთად მოუსმენს, ცალ-ცალკე დაბარების ნაცვლად.

ეს ის ზოგადი, მწირი ინფორმაციაა, რაც საკითხის გარშემო ვრცელდება. მოვლენები კი გაცილებით საინტერესოდ კულუარებში ვითარდება.

„საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ნაზი ჯანეზაშვილმა Facebook-ში დაწერა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ვითარება ძალიან დაიძაბა. კუბლაშვილმა სხდომა დატოვა, რადგან ახალი მოსამართლეების არჩევის საკითხი კიდევ ერთხელ გადაიდო. ასარჩევი 45-მდე ადამიანია, არადა, მოსამართლის პოზიციაზე ვაკანსია ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში გამოცხადდა. „ვერსიის“ ინფორმაციით, სხდომა საბჭოს წევრმა და თავმჯდომარეობის ყოფილმა კანდიდატმა, ევა გოცირიძემ ჩაშალა და განაცხადა, ეს საკითხი ახალი თავმჯდომარის არჩევამდე გადავდოთო. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ გოცირიძემ „ოცნების“ თამაში ითამაშა და ნაციონალ კუბლაშვილს სასამართლოში 45 „თავისიანის“ დატოვების საშუალება არ მისცა. ხოლო იქედან გამომდინარე, რომ ნინო გვენეტაძისთვისაც სცადა ხელისშეშლა საინტერესო განცხადებით, ალბათ, იმედი აქვს, რომ მეორე კანდიდატი, ვისაც გვენეტაძის ჩაგდების შემდეგ პრეზიდენტი დაასახელებს, თავად იქნება — ევა გოცირიძემ ორი დღის წინ მედიას განუცხადა, რომ ნინო გვენეტაძეს დიდი ხანია იცნობს და იგი ღირსეული კანდიდატია. უბრალოდ, **„კანონი კრძალავს დისციპლინარული გადაცდომისთვის გათავისუფლებული მოსამართლის ხელახლა გამწესებას, ეს როგორ გამორჩათ პრეზიდენტის იურისტებს საკვირველია“.** კიდევ უფრო საკვირველი ის არის, როგორ გამორჩა იუსტიციის საბჭოს მოქმედ წევრსა და გამოცდილ სამართლის ექსპერტ ევა გოცირიძეს, რომ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ცვლილება თითქმის ერთი წელია შევიდა და ეს მუხლი გვენეტაძეს ბარიერს აღარ უქმნის. ეს სასამართლო კულუარებია. საპარლამენტოს რაც შეეხება, აქ ჯერ ისიც არ აქვთ გარკვეული, შიგნით ვინ ვის ებრძვის. უცნაურია ისიც, პარლამენტის უმრავლესობაში ერთი ადამიანი რომ არ აღმოჩნდა, რომელიც კანონებს ბოლომდე ჩაიკითხავდა და უმრავლესობის ლიდერის პირითა და მთელი კოალიციის სახელით, პრეზიდენტს არ შეუთვლიდა, თავმჯდომარის პოსტზე 2-3 კანდიდატი დაასახელეო. პირიქით, დავით საგანელიძე და დანარჩენი „ოცნება“ ახლა ხელზე იმას იხვევენ, პრეზიდენტმა შეთანხმება დაარღვია, ჩვენ 2-3 კანდიდატის დასახელება შევთავაზეთ და მან მხოლოდ ერთი წარგვიდგინაო. თუმცა ამას რომელი კანონით ითხოვენ, როცა არსად წერია, რომ პრეზიდენტს ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს, როგორც ცესკო-ს, საზოგადოებრივი მაუწყებლის, მარეგულირებელი კომისიის და სხვა საჯარო სამსახურების შემთხვევაში, ამას აღარ აკონკრეტებენ. ეს ლაფსუსიც იქით იყოს — სერიოზული ფაქტორი ამ პროცესში ბიძინა ივანიშვილის განცხადებები იყო, უფრო სწორად, მთელი „მესიჯბოქსი“ პრეზიდენტისა და პარლამენტის მიმართულებით, რომ ალასანია-უსუფაშვილის თამაშს პარლამენტი არ ითამაშებს. „პირველმა მოქალაქემ“ განაცხადა: **„თავისუფალი დემოკრატები ცდილობენ, სამართლებრივი პროცესი პოლიტიკურად წაიყვანონ. კეთილი ინებონ და, პროკურატურას ხელი შეუწყონ. ისე, ალასანიას გუნდის წევრები ამ საკითხზე რატომ არ ითხოვენ პარლამენტში კომისიის შექმნას? მსგავსი განცხადებები მათგან არ მახსოვს, იგივე რესპუბლიკელები, რომლებიც ვერ მალავენ და ალასანიას უჭერენ მხარს, ხელოვნურად აგორებულ თემებზე რომ კომისიას ქმნიან, შეამოწმონ პროკურატურა ამ ნაწილშიც. ამის ნაცვლად, მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ და პროკურატურას პირდაპირ ემუქრებიან“.** ამ განცხადებებს პოლიტიკური თარჯიმანი არ სჭირდება, ისედაც გასაგებია, რომ ბიძინა ივანიშვილი ნინო გვენეტაძის კანდიდატურას არ ემხრობა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მარგველაშვილმა დაასახელა, მერე იმიტომ, რომ რესპუბლიკელების ყოფილი წევრია და კიდევ იმიტომ, რომ როგორც ამბობენ, იგი მხარს ქუთაისელ მოსამართლეს, უზენაეს სასამართლოში ნამუშევარ და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანს ლობირებს. რა ხდება პროცედურულად, თუ პარლამენტი ნინო გვენეტაძის კანდიდატურას ჩააგდებს: მარგველაშვილი მეორედაც იგივე კანდიდატს ვერ დაასახელებს. კანონში წერია, რომ ამის გაკეთება მას მეორედაც შეუძლია, თუმცა პოლიტიკურ-პრაგმატულად ამას არავითარი აზრი არ აქვს. ასევე, არც კონსტიტუცია და არც ცალკეული კანონები არ სცნობს ვადებს უზენაესი მოსამართლის არჩევისთვის. შესაბამისად, პროცედურული ომი პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის იმდენხანს შეიძლება გაგრძელდეს, სანამ პარლამენტი არ შეიცვლება 2016-ში, ან პრეზიდენტი — 2017-ში. თუ პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს რამდენჯერმე უარყოფს, საგაზაფხულო სესიაზე, რომელიც თებერვალში იხსნება და ივნისში იხურება, უზენაესი სასამართლოს პირველი პირის არჩევას ვერ მოასწრებს. მერე ზაფხულიც დგება, საშემოდგომო სესია იხსნება და ამ სესიაზეც რომ ჩაუგდონ კანდიდატურები, გამოდის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 2016 წლამდე ვეღარ აგვირჩევია. ეს პროცედურები — დასახელება, წარდგენა, ოფიციალურად დარეგისტრირება, კომიტეტებში, ფრაქციებში, სხდომებზე მოსმენა და მერე კენჭისყრა, ყოველ ახალ კანდიდატზე თავიდან ხომ უნდა გავიაროთ. თუმცა ეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი სცენარია — რაში აწყობს „ოცნებას“ უზენაესში პირველკაცად კუბლაშვილის მოადგილის, ზაზა მეიშვილის დატოვება?! უფრო პრაგმატული სცენარია, ივანიშვილის განცხადებებისა და შიდაომების გამო, პარლამენტმა გვენეტაძის კანდიდატურა ჩააგდოს და ზოგადად, ასე „ყაროს“ პრეზიდენტის მიერ დასახელებული ხალხი, ვიდრე სასურველი, ვთქვათ, ევა გოცირიძე, გია მეფარიშვილი, ანდაც მამუკა ახვლედიანი არ დასახელდება. დააყენებენ სხვა კანდიდატებს, ალაპარაკებენ, კითხვებს დაუსვამენ, ხმას არ მისცემენ და იტყვიან — ამას მხარდაჭერა არ ჰქონდა, შემდეგიო... გვენეტაძე ჯერ პარლამენტშიც არ მისულა, და უკვე „შემდეგზე“ რომ ვსაუბრობთ, ალბათ, ცოტა უცნაურია, მაგრამ ამას თავისი რკინის ლოგიკა აქვს: ცნობილია, რომ 18-19 თებერვალს, ქუთაისში უმრავლესობის სხდომები ჩატარდა. როგორც „ვერსიამ“ კულუარულად გაარკვია, ამ შეკრებებზე გვენეტაძის მხარდაჭერით თავი არავის გამოუდია — ერთგვარი ჩუმი შეთანხმება დაიდო, რომ გვენეტაძის კანდიდატურა ჩავარდება. უმრავლესობა რასაც იზამს, იმას ვიზამთ ჩვენცო, გვითხრეს „კონსერვატორებმა“, პარტია „ოცნებაში“ რამდენიმე დეპუტატი ამბობს, გვენეტაძეს პირადად კი ვიცნობთ, მაგრამ ეს ხმის მიცემასთან არაფერ შუაშიაო, **ეკა ბესელია** „ვერსიასთან“ ასეთი კომენტარით შემოიფარგლა: **„გვენეტაძეს პირადად ვიცნობ, ვიცი მისი პრინციპულობა, პროფესიონალიზმი. თუმცა კოლეგებთან კონსულტაციები გვექნება და მის კანდიდატურაზე ამ დღეებში ვიმსჯელებთ“.** ჰოდა, ეს „მაგრამ“ და „თუმცა“ კარგს რომ არაფერს ნიშნავს, ყველას ესმის. სხვათა შორის, თურმე, ამ პროცესში ყველაზე ჩუმად ზაქარია ქუცნაშვილი და მისი მხარდამჭერი 22 დეპუტატია — ესეც აპრიორი 23 ხმა გვენეტაძის წინააღმდეგ. მარტივად შეგვიძლია დავითვალოთ პრეზიდენტის რჩეულის მხარდამჭერები: **რესპუბლიკელები, 9-კაციანი ფრაქციით,** რომლებიც გვენეტაძეს ოფიციალურად ლობირებენ და ამის შესახებ განცხადება დავით ბერძენიშვილმა გააკეთა. ალასანიას **თავისუფალი-დემოკრატები 8-კაციანი ფრაქციით,** სადაც გვენეტაძის მხარდამჭერი ტექსტით შალვა შავგულიძე და გია ცაგარეიშვილი ღიად გამოვიდნენ და **„ეროვნული ფორუმი“, 6-კაციანი ფრაქციით,** რომლის ერთ-ერთმა ლიდერმა, ანი მიროტაძემ თქვა, რომ გვენეტაძის კანდიდატურა მათთვის მისაღებია. მართალია, ეს „ოცნების“ საწინააღმდეგოდ ცურვას არ ნიშნავს, თუმცა ეს 6 ხმა გვენეტაძეს რომ მივათვალოთ და კიდევ რესპუბლიკელებთან ასოცირებული ერთადერთი დეპუტატი ოცნებიდან, თამარ კორძაია, 76 მაინც ძალიან შორია — ეს სულ რაღაც 24 ხმაა. ხმათა ამ რაოდენობას მაჟორიტარები და „ოცნება“ უნდა დავუმატოთ, რომ 76-მდე მივიდეთ, ანდაც ნაციონალები, სრული შემადგენლობით. ნაციონალებმა კი „ვერსიასთან“ ძალიან გულახდილი და პრაგმატული პოზიცია გაამხილეს, სინამდვილეში, რატომ არ დაუჭერენ მხარს მათ მიერვე გაგდებულ კანდიდატს. **გივი თარგამაძე: „ჯერ ერთი, ნინო გვენეტაძე შევარდნაძისდროინდელი მოსამართლეა, გახრწნილი და კორუმპირებული სისტემის ნაწილი. შემდეგ, მან თავი იმით გამოიჩინა, რომ იმ სიების ერთ-ერთი ავტორია, რომელთა მიხედვით ციხიდან რუსეთის ჯაშუშები და მძიმე დანაშაულების ჩამდენი პირები უპირობოდ გაათავისუფლეს. თუნდაც ამის გამო გვენეტაძის ამ პოსტზე წარდგენა დიდი უპასუხისმგებლობაა. რაც შეეხება იმას, ჩვენ რატომ არ გვყავს კანდიდატი, არც გვიმსჯელია, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს წყლის ნაყვა იქნებოდა. ჩვენ კოტე მოგვწონდა და იყო კიდეც თავმჯდომარე, ამიტომ ახლა მარჩიელობას, ვინ მოგვწონს იმ 28 კანდიდატიდან და ა.შ. აზრი არ აქვს, ჩვენი სიმპათიები ახლა მაინც არაფერს ცვლის. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტია, სასამართლოში ზაზა მეიშვილი დარჩეს. რაზეა ლაპარაკი — „ოცნებას“ ნამდვილად დავეხმარებით ნინო გვენეტაძის კანდიდატურის ჩაგდებაში!“.** რა გამოდის, გვენეტაძის კანდიდატურა არც „ოცნებას“ აწყობს, არც ნაციონალებს და ავტომატურად, ერთ ბანაკში ხვდებიან? დავუშვათ, ნაციონალებს სასამართლოში ზაზა მეიშვილის დატოვება სურთ, მაგრამ რა სურს „ოცნებას“ — რქებით მანამ უნდა მიაწვეს, ვიდრე მარგველაშვილი სასურველ კანდიდატს არ დაასახელებს? და ვინ მოიგებს ამით, ხალხი და სასამართლო თუ ნაციონალური მოძრაობა?! და კიდევ ერთი: ზაქარია ქუცნაშვილი, თავისი 22-კაციანი გუნდით საგანელიძეს უპირისპირდება, საგანელიძე — პრეზიდენტს, პრეზიდენტი — ივანიშვილს, ივანიშვილი — რესპუბლიკელებსა და ალასანიას. ნაციონალების წინააღმდეგი ამ ვითარებაში, არავინ გამოდის, ასე რომ, ჯერი უმრავლესობაზეა, უმრავლესობაში კი დღეს ისეთი მოცემულობაა, კანდიდატად ნინო გვენეტაძე კი არა, თემიდა რომ მიუყვანონ, ალბათ, 76 ხმას ისიც ვერ შეაგროვებს.

ვერსიანიუსი

თბილისის მერია პროექტის — „მწვანე ყუთი“ განხორციელებას იწყებს

შესაბამისი გადაწყვეტილება დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე მიიღეს.

პროექტის მიხედვით თბილისის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში და გამგეობებში სპეციალური ადგილები გამოიყოფა და შესაბამისი კონტეინერები განთავსდება, სადაც მოგროვდება ქაღალდის ნარჩენები; შეგროვებული მაკულატურის ღირებულების დადგენას და აუქციონის ფორმით განკარგვას თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო უზრუნველყოფს.

მაკულატურის აუქციონზე გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი თბილისის ტერიტორიაზე გამწვანებითი სამუშაოების უზრუნველყოფას, ხეების დარგვას და მათ მოვლა-პატრონობას მოხმარდება.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ნარჩენების რაციონალურად მართვასა და გარემოს დაცვითი საკითხების რეგულირებას დედაქალაქის ტერიტორიაზე.

„პირველი“

გაერო-ს მონაცემებით, შარშან ავღანეთში 3 699 ადამიანი დაიღუპა

2014 წლის განმავლობაში ავღანეთში თავდასხმების შედეგად გარდაცვლილი და დაშავებული მშვიდობიანი მოქალაქეების რიცხვი გასულ წლებთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა. ამ მონაცემებს გაერო აქვეყნებს.

ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში სულ ავღანეთში 3 699 ადამიანი დაიღუპა, 6 849 კი დაშავდა: „2009 წლის შემდეგ ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელია“.

გაერო-ს მონაცემებით, 2014 წელს, მშვიდობიან მოქალაქეთა უფრო დიდი ნაწილი „თალიბანსა“ და სამთავრობო ძალებს შორის ბრძოლას შეეწირა, ვიდრე გზებზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობების გააქტიურებას.

„ინტერპრესნიუსი“

რას ნიშნავს გახმაურებული დაჭერების სერია სხვადასხვა უწყებაში

მთავრობამ ანტიკორუფციულ ღონისძიებებსა და საჯარო სამსახურების მმართველობის საკადრო პოლიტიკას უნდა გადახედოს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მიმდინარე კვირა ხმაურიანი დაჭერებით გამოირჩეოდა. მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსის, ჯოკია ბოდოკიას გარდა, ქრთამის აღებასა და ყალბი დოკუმენტაციის დამზადებაში ამხილეს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ასევე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ კონტროლის დეპარტამენტის სამედიცინო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი. კვირის ანტიკორუფციული ღონისძიებები კი შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე თანამშრომლის დაკავებით დასრულდა, რომლებიც ნარკოტიკებს მოიხმარდნენ. რას ნიშნავს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში გამოვლენილი ამ ტიპის დარღვევები? არის თუ არა ეს ფაქტები სუსტი მენეჯმენტის ბრალი და რა ღონისძიებები უნდა გაატაროს მთავრობამ?

გახმაურებული დაჭერების ანტიკორუფციული „კვირეული“ მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსმა, ჯოკია ბოდოკიამ გახსნა, რომელმაც ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს, სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემაში გაწეული დახმარებისა და მშენებლობის პროცესში მფარველობის გამო, ქრთამის სახით, 180 000 აშშ დოლარი მოსთხოვა. წინასწარ კი ნაწილი, 50 000 აშშ დოლარი აიღო.

ამის შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თაღლითობის, მითვისებისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, შსს-ს მომსახურების სააგენტოს მომარაგების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ამხილეს. გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირი, მის მიერვე დამზადებული ყალბი ოფიციალური ხელშეკრულებების გამოყენებით, თბილისსა და რუსთავში მდებარე სხვადასხვა მაღაზიებიდან, სამსახურებრივი საჭიროების მოტივით, თაღლითურად დაეუფლა სხვადასხვა დასახელების ძვირადღირებულ მობილურ ტელეფონებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან“ 2 227 887 ლარის უკანონოდ გადარიცხვა-მითვისების ფაქტზე, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ფინანსური დეპარტამენტის უფროსსა და მის მეუღლეზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

შსს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ კონტროლის დეპარტამენტის სამედიცინო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი ქრთამის აღების ფაქტზე, შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ ადმინისტრაციული დირექტორი — ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, ხოლო მოქალაქე — ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გასაღების ფაქტზე დააკავა. გამოძიებით გაირკვა, რომ მოქალაქემ უკანონოდ მიითვისა ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც ბიუჯეტიდან შემწეობას იღებდა.

ანტიკორუფციული „კვირეული“, შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ, ამავე უწყების რამდენიმე თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვის ფაქტით დასრულდა, რომლებიც ნარკოტიკულ საშუალებებს უკანონოდ მოიხმარდნენ.

„ვერსიასთან“ საუბრისას იურისტმა, **ლევან ალაფიშვილმა** განაცხადა, რომ ყველა ეს ფაქტი ანტიკორუფციული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა. თუმცა ანტიკორუფციული მდგომარეობა დამაიმედებელი არ არის, რადგან უკვე მიღწეულ შედეგს კონკრეტული ქმედებებით შენარჩუნება და განვითარება სჭირდება: **„პირველ რიგში, პრევენციული ღონისძიებები უნდა გატარდეს, რადგან ამ ფაქტების აფიშირებით, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რომ ანტიკორუფციული პოლიტიკისა და პრევენციის ეტაპზე, რაღაც კარგად არ მუშაობს. ამ შემთხვევაში, სწორედ ეს არის ზუსტი დიაგნოზი. მთავრობის ანტიკორუფციული პოლიტიკა და სტრატეგია, კონკრეტული ღონისძიებები, საჯარო სამსახურის პოლიტიკა, სამსახურში აყვანის პროცედურები, კონტროლის მექანიზმების არსებობა სამუშაო პროცესში, საჯარო სექტორის პოლიტიკა — ეს ყველაფერი დამაფიქრებელი უნდა გახდეს ჩვენი მთავრობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ასეთი ფაქტები მომავალშიც გახშირდეს, რაც ანტიკორუფციულ მდგომარეობას გააუარესებს. მეტიც, გამორიცხული არ არის, რომ ხმაურიანი დაკავების ეს ფაქტები, გადამწყვეტი ფაქტორიც კი გახდეს საინვესტიციო მიმზიდველობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით“.**

საჯარო სამსახურებში არსებული საკადრო პოლიტიკა „ქართული ოცნების“ „აქილევსის ქუსლია“. თუმცა ამ მხრივ, ნაციონალური მოძრაობაც სცოდავდა, რადგან ცალკეულ შემთხვევებში, სხვადასხვა ვაკანსიებზე გამოცხადებული კონკურსების გამჭვირვალობა კითხვის ნიშნებს აჩენდა. თუკი დღეს, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ თვითმმართველობებში გამოცხადებულ კონკურსებში, „ქართული ოცნება“ საკუთარ კანდიდატურებს დანიმრილ ტესტებს სთავაზობდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ამ ტესტებში არსებული ალოგიკური კითხვების გამო ედავებოდნენ. მოკლედ, საკადრო პოლიტიკა და ტესტირების პროცესი საჯარო უწყებებში, „ნაცებისთვისაც“ და „ქოცებისთვისაც“ სერიოზული პრობლემა იყო. **ლევან ალაფიშვილი: „ეს პროცესი ბოლო ფაქტის შეფასებით დავიწყოთ, როდესაც შსს-ს თანამშრომლები ნარკოტიკების მოხმარების გამო დააკავეს. ანტინარკოტიკული ღონისძიებები ანტიკორუფციულ პოლიტიკას ნაკლებად უკავშირდება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რადგან რამდენიმე პირი დააკავეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ანტინარკოტიკული ღონისძიებები შესუსტდა. შესაძლებელია, ეს თანამშრომლები ისე მოხვდნენ თანამდებობებზე, სელექციის ტესტი, ანუ შერჩევის პროცედურები სათანადოდ არ გაუვლიათ. რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს, აქ ცოტა განსხვავებული ვითარებაა, რადგან ანტიკორუფციული პოლიტიკის პრობლემა გამოიკვეთა. ეს სისტემური პრობლემაა, სადაც სამინისტროს თანამშრომელთან ერთად, გარედან სამედიცინო პერსონალიც მონაწილეობდა. ეგრეთ წოდებული, უკანონო ჯაჭვი ააწყვეს, როდესაც ვიღაცა ინვალიდობას ყიდულობდა, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაუმსახურებლად ესარგებლა. სავარაუდოდ, ასეთი ფაქტები წინა წლებშიც ხდებოდა და სწორედ ამაზე უნდა იზრუნოს ჯანდაცვის სამინისტრომ. არჩევნების შემდეგ, უწყებებში ახალი საკადრო პოლიტიკა განხორციელდა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს, მაგრამ როგორც ჩანს, მკაფიო კრიტერიუმების გარეშე მიღებული გადაწყვეტილებები იყო იმის მიზეზი, რამაც ასეთი გადაცდომები წარმოშვა. მიმდინარე კვირაში გამოვლენილი ფაქტებით გამოჩნდა, რომ სხვადასხვა სამინისტროებმა და ზოგადად, მთავრობამ, ანტიკორუფციულ ღონისძიებებსა და საჯარო სამსახურების მმართველობის საკადრო პოლიტიკას უნდა გადახედონ“.**

შსს დაკარგულ პიროვნებას ეძებს

1996 წელს დაბადებული ილია კონსტანტინეს ძე ნიჟარაძე სახლიდან 12 თებერვალს გავიდა. უგზოუკვლოდ დაკარგული პირი თბილისში, ვარკეთილის მე-3 მ/რ-ის 343 კორპუსის ბინა 52-ში მცხოვრები ახალგაზრდაა.

იგი 2015 წლის 12 თებერვალს სახლიდან გავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა.

ილია ნიჟარაძის აღწერილობა: საშუალო აღნაგობის, ღია ფერის კანით, სიმაღლე — 170 სმ, აქვს თაფლისფერი თვალები, საშუალო ზომის წარბები და სწორი ცხვირი.

ტანთ ეცვა: ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი, ნაცრისფერი, ყვითელზოლიანი სპორტული ფეხსაცმელი, კაპიშონიანი მწვანე მაისური და შავი ფერის ქურთუკი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყო უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის სამძებრო ღონისძიება. სამართალდამცველები 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ ილია ნიჟარაძის სამძებრო მოქმედებებს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს, როგორც ეკიპაჟების, ასევე მეტროპოლიტენის პატრულის თანამშრომლებს, ყოველდღიურად მიეწოდებათ ინფორმაცია დაკარგული პირის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით, ინფორმირებულია კრიმინალური პოლიციის ყველა დანაყოფი, ყოველდღიურად მოწმდება როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების, ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში შესული ინფორმაციები. სამართალდამცველების მიერ მიმდინარეობს გარე სათვალთვალო კამერებიდან ვიდეომასალის ამოღება და გაშიფვრა.

თუ ვინმეს გაგაჩნიათ ინფორმაცია დაკარგული ილია ნიჟარაძის შესახებ, დაგვიკავშირდით ნომრებზე:
577 53 94 60; 597 74 78 16; (032) 2 41 31 32

„ვერსიანიუსი“

შსს-მ, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ბაღდათის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული გოდერძი წ. ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა გოდერძი წ. ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში იმ დროს დააკავეს, როდესაც სატვირთო ავტომანქანით უკანონოდ მოჭრილი ხის მორები გადაჰქონდა. დაკავებულის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილიდან წაბლის ხის 2,10 მეტრი სიგრძის 20 ცალი მორი ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა დაკავებამდე ორი კვირით ადრე ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში, ე.წ. კორთხას ტყეში მოჭრა 8 ძირი წაბლის ჯიშის ხე, რომლებიც დაჭრა 2, 10 მეტრი სიგრძის მორებად. მორების ნაწილი დატვირთა თავისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის ძარაში და დასახერხად ჩაიტანა ბაღდათის რაიონის სოფელ წითელხევში, ხის დამამუშავებელ საამქროში. შემდეგ კი, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მორები გადაიტანა ქალაქ ქუთაისში, ხის დამამუშავებელ საამქროში.

გამოძიება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

კრემლის ახალი სტრატეგია საქართველოს წინააღმდეგ

მინსკის დაძაბული და დატვირთული შეხვედრების დასრულების შემდეგ კრემლმა საქართველოსთვის მოიცალა. ერთმანეთის მიყოლებით, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს და ოფიციალური განცხადებებიც გააკეთეს. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ გაირკვა აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების განახლების სავარაუდო დრო, პარალელურად, გააპროტესტეს საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის შექმნისა და სამხედრო წვრთნების პერსპექტივები, 18 თებერვალს კი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოეწერა საქართველოს უკვე მეორე კონფლიქტურ რეგიონთან ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულებას.

რუსეთს თავისი ინტერესები აქვს, დასავლეთს თავისი სტრატეგია, ჩვენ გვაქვს აღტერნატივა

ცხინვალის მარიონეტულ მთავრობასთან გაფორმებულ დოკუმენტს კრემლი განიხილავს „ახალ სახელმწიფოსთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის დოკუმენტად“, რომლის საფუძველზეც შეიქმნება თავდაცვის ერთიანი კონტური და მის ჩარჩოში იმოქმედებს რუსულ-ოსური გაერთიანებული საჯარისო დაჯგუფებები. დოკუმენტის გასაფორმებლად მოსკოვში ჩავიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა დე ფაქტო მინისტრი დავით სანაკოევი, რომელმაც განაცხადა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის სტრატეგიულ ინტეგრაციას მტკივნეულად განიცდის მხოლოდ საქართველო და მისი ევროპელი და ოკეანესგაღმა მეგობრები, ხოლო ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაში „რუსეთის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება სრულებით მიუღებელია“.

მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება თბილისში თითქმის ყველა დონეზე გააპროტესტეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა **თამარ ბერუჩაშვილმა** ე.ნ. საზღვრის ერთობლივად გაკონტროლების შესახებ ხელშეკრულება, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეაფასა და განაცხადა, რომ რუსეთის ყველა ამ ქმედებას საქართველო აქტიურ დიპლომატიურ ნაბიჯებს უპირისპირებს, საერთაშორისო ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში. **„ეს დოკუმენტიც ისეთივე არალეგიტიმურია, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მარიონეტულ მთავრობებთან დადებული ყველა დანარჩენი ხელშეკრულება და მას მხოლოდ ის ქვეყნები აღიარებენ, რომლებიც, ტრადიციულად, აღიარებენ ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას“.**

სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **დავით ბაქრაძემ** ხელშეკრულებას საზღვრების კორექციის რუსეთის მორიგი მცდელობა უწოდა. მისი თქმით, საქართველოს პოზიცია უნდა იყოს თანმიმდევრული, მტკიცე და შედეგად, რუსეთი უკან დაიხევს.

რუსეთის ქმედება გააპროტესტა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **ვიქტორია ნულანდმაც**. თბილისში ვიზიტისას განაცხადა, რომ აფხაზებსა და ცხინვალის მოსახლეობას უფრო ნათელი მომავალი დანარჩენ საქართველოსთან თანაცხოვრებით ექნება. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება კი, საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის, აფხაზეთში მცხოვრებლებსაც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს სთავაზობს. საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ კიდევ ერთხელ მხარდაჭერა გამოხატა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმაც. მისი აზრით, ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ე.წ. ხელშეკრულების ხელმოწერა, ქვეყნებს შორის კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირებას არ ეხმარება.

კრემლის მიერ სოხუმისა და ცხინვალის ლიდერებთან დადებული რამოდენიმე ათეულობით ხელშეკრულების არალეგიტიმურობაზე ბევრი შეფასება კეთდება, მაგრამ რეალური სურათი დამშვიდების საფუძველს არ იძლევა. ძნელია, გაიზიარო იმ პოლიტიკოსთა ოპტიმისტური განწყობა, რომლებიც იმედოვნებენ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მალე აღდგება და კონფლიქტები მოგვარდება. ქართულ დიპლომატიურ და მმართველ პოლიტიკურ წრეებში თითქმის ერთსულოვნად აცხადებენ, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში „ოცნების ხელისუფლების“ უმთავრესი ინსტრუმენტი საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება, არაღიარების პოლიტიკა და თანამშრომლობის საშუალებების შექმნაა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისთვის.

ანალოგიური ხელშეკრულება კრემლმა აფხაზეთთან 2014 წლის 24 ნოემბერს გააფორმა. მაშინ მოსკოვის ქმედება ქართულმა მხარემ აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე გააპროტესტა, რის შედეგად, რუსეთმა ეს ფორმატი გაურკვეველი ვადით შეაჩერა. ახლა კი გაირკვა, რომ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის მორიგი რაუნდი თებერვლის ბოლოს შედგება.

საზღვრის გაკონტროლების შესახებ რუსეთის ორივე ხელშეკრულება ეფუძნება საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ კრემლის მიერ ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობის აღიარების 2008 წლის დოკუმენტებს, რომელთა გაბათილებას ქართულმა მხარემ საერთაშორისო ზემოქმედებით, ჯერჯერობით, ვერ მიაღწია. ქართველი ექსპერტების უმეტესობა თანხმდება, რომ „ოცნების“ ხელისუფლების მიმართ მოლოდინი მოსკოვშიც განსხვავებული ჰქონდათ. „ვერსია“ ესაუბრა პოლიტოლოგს, თსუ-ს პროფესორ **ვაჟა ბერიძეს,** რომელსაც მიაჩნია, რომ, თუ რუსეთი ოკუპირებული რეგიონის მარიონეტულ მთავრობასთან სხვა შინაარსის ხელშეკრულებებს არ გააფორმებს, ეს დოკუმენტი აფხაზებთან დადებული „თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულებისგან“ განსხვავებით, ურთიერთობების ხარისხის გათვალისწინებით, მაინც ნაკლებ მნიშვნელოვანია. მისი აზრით, რუსეთი უკვე ყველა მიჯნას გადავიდა, **„თავის შეკავება უჭირს და ინერციით მიდის ამ მიმართულებით, რასაც უნდა მოჰყვეს მძაფრი რეაგირება, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. ამ რეგიონების დეოკუპაცია გარდუვალია“.** მისივე განმარტებით, განსხვავება ისაა, რომ ე.წ. სამხრეთელი ოსები კატეგორიულად მოითხოვენ რუსეთის შემადგენლობაში შესვლას და საზღვრების გაუქმებას, ინტეგრაციის გაცილებით მაღალ ხარისხს. **„იმპერიული ზრახვების მიუხედავად, რუსეთი მათთან მხოლოდ სახელმწიფო საზღვრის შესახებ ხელშეკრულებას აფორმებს. დოკუმენტი, დე ფაქტო ხელისუფლებების ლიდერების მოთხოვნას არ შეესაბამება“.**

მოსკოვში მყოფი სამხრეთ ოსეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დავით სანაკოევი კი აცხადებს, რომ „სამხრეთ ოსეთში“ რუსეთთან მიერთების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, თუმცა **„თუ გაჩნდება რუსეთთან მიერთების სურვილი, ჩატარდება შესაბამისი პროცედურები“.** მისივე თქმით, მზადდება თანამშრომლობისა და ინტეგრაციის დაახლოებით 25 ხელშეკრულება, რომელიც თანამშრომლობის ახალ ასპექტებს მოიცავს თავდაცვის, უსაფრთხოების, სოციალურ და სხვა სფეროებში.

საქართველოში ნატო-ს საწვრთნელი ბაზის შექმნა, კრემლთან ერთად, მოსვენებას უკარგავს დე ფაქტო ლიდერებსაც. სანაკოევსა და რუსეთის მთავარ დიპლომატ ლავროვს შორის 19 თებერვალს გამართული შეხვედრისას განსახილველ საკითხთა შორის ბუნებრივია იყო კავკასიის რეგიონში მიმდინარე მთელი რიგი სხვა მოვლენები და მათ შორის საქართველოში ნატოს გეგმები. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გრიგოლ კარასინი** აცხადებს: **„ბევრი რამ მოწმობს, რომ საქართველო ბოლო წლებში აქტიურად ზრდის ნატო-სთან თანამშრომლობას და სწორედ ეს აშფოთებს სოხუმსა და ცხინვალს“.** გარდა ამისა, კარასინის თქმით, არსებობს ინფორმაცია რომ თბილისს მიეწოდება თანამედროვე საბრძოლო იარაღის დიდი პარტია, მათ შორის საბრძოლო სისტემები, რის ფონზეც, მეზობლების შეშფოთება გასაგებია.

კარასინის განცხადებას გამოეხმაურა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი **ზურაბ აბაშიძე.** მისი თქმით, ასეთი გეგმა ბუნებაში არ არსებობს: **„ბრიუსელში, მოსკოვსა და თბილისშიც კარგად იციან, რომ დღეს-ხვალ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება დღის წესრიგში არ დგას. საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და აქვს სრული უფლება, ითანამშრომლოს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციასთან. თანამშრომლობა არაა მიმართული იმ მიზნისკენ, რომ საქართველოში განთავსდეს ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურა. საქართველო არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც ზიანს მიაყენებს რეგიონულ უსაფრთხოებას. საქართველოს უსაფრთხოებას, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, უპირველესად, საფრთხეს უქმნის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, რუსეთის სამხედრო ჯარების, სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება“.**

როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას პოლიტოლოგმა **ვაჟა ბერიძემ** აღნიშნა, **„პოლიტიკა ხშირად არის თამაში წესების გარეშე. როცა გინდა ტერიტორიების აღდგენა, ამ თამაშში უნდა მონახო შენი გზა. რუსეთს თავისი ინტერესები აქვს, დასავლეთს თავისი სტრატეგია. ჩვენ გვაქვს ალტერნატივა, შევწყვიტოთ ყოველგვარი ურთიერთობა რუსეთთან, აქტიურად ჩავერთოთ ანტირუსულ კამპანიაში, ჩავერთოთ უკრაინის ომში და მეორე — მიუხედავად იმისა, რომ ძნელია, დავალაგოთ ურთიერთობები რუსეთთან. მთავარია მიზანი, მისკენ მიმავალი გზა უნდა მოიძებნოს კომპრომისებისა და ვარიანტების შეჯერებით. თუ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა დიალოგზე გადის, უნდა მოვსინჯოთ დიალოგი, თუ ომით მივაღწევთ შედეგს, უნდა ვიომოთ, მაგრამ ერთი არ გამორიცხავს მეორეს“.**

არსებობს მარადიული პრობლემა, როგორ დავარწმუნოთ აფხაზები და ოსები, რომ ევროპული პერსპექტივა მათთვის უფრო მისაღებია, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული დაქუცმაცება და ევრაზიის კავშირში შესვლის მცდელობა. **ვაჟა ბერიძის** აზრით, ამის გაკეთება გაგვიჭირდება: **„ქართული საზოგადოებაც ნელა და ძნელად რწმუნდება, რომ ევროპული პერსპექტივა სიკეთისმომტანია. წლები გადის და არაფერი გვინახავს ეთნოკონფლიქტების, სოციალური შეჭირვების, მიგრაციის დიდი ტალღის გარდა. ევროპასთან ეკონომიკური კავშირის შედეგებს საქართველო რომ იგრძნობს და გაცდება შეღებილ ფასადებსა თუ სტრატეგიული მნიშვნელობის გზატკეცილს, როცა დავინახავთ, რომ დასავლეთი უფრო გულითადად გვეკიდება, ჩვენთან ინვესტიციებს დებს, ეკონომიკური ურთიერთობები მყარია, აფხაზები და ოსებიც დარწმუნდებიან. ასე რომ, უკეთესი ცხოვრება ჯერ დანარჩენ საქართველოში უნდა შევქმნათ“.**

ვერსიანიუსი

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომაზე რეგიონში არსებული ვითარება განიხილეს

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომაზე საბჭოს წევრებმა რეგიონში არსებული ვითარების გარდა საგარეო პოლიტიკის გამოწვევებზე, ასევე შიდა და საგარეო საფრთხეებზეც იმსჯელეს. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა დახურულ ფორმატში გაიმართა. მას საბჭოს მდივანი დავით სუჯაშვილი, შს მინისტრი ვახტანგ გომელაური, თავდაცვის მინისტრი მინდია ჯანელიძე, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი ესწრებოდნენ.

„პირველი“

გიორგი გეგეჭკორი, შესაძლოა, კიევის პოლიციის უფროსად დაინიშნოს

თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის უკრაინაში შესაძლო დანიშვნაზე ინფორმაციას „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი ზურა ქადაგიძე ავრცელებს.

თუმცა თავად გეგეჭკორი კიევის პოლიციის უფროსად მის შესაძლო დანიშვნაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს: **„ჯერჯერობით, ამაზე საუბარი ნაადრევია. ვნახოთ, ბოდიში, მეტ კითხვაზე ვეღარ გიპასუხებთ“.**

გიორგი გეგეჭკორი შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობას 2012 წლიდან იკავებდა. 2007 წლიდან 2012 წლამდე კი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო. გეგეჭკორმა შსს-ში მუშაობა 2005 წელს ასევე გენერალურ ინსპექციაში, დირექტორის მოადგილედ დაიწყო. 2006 წელს მას ასევე თბილისის შს მთავარი სამმართველოს საუბნო მუშაობის კოორდინირების სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა.

უკრაინის მთავრობაში საქართველოს წინა ხელისუფლების რამდენიმე წევრია წარმოდგენილი, მათ შორის, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი, გენერალური პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე გია გეწაძე, უკრაინის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ლევან ვარშალომიძე და შს მინისტრის მოადგილე ეკატერინე ზღულაძე. რაც შეეხება ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, მან უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ჩაიბარა.

„პირველი“

„ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელი საქართველოში სამკურნალო ტურიზმის განვითარებას გეგმავს

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

მაია რჩეულიშვილი აფართოებს სასტუმროების ქსელს — „რჩეული“. „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელი საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ახალი სასტუმროს აშენებას გეგმავს, რისთვისაც სავარაუდო ადგილებიც შეარჩია. „რჩეულის“ სასტუმროებს საქართველოს 21 კურორტზე, მათ შორის სურამში, ლიკანში, ყაზბეგში, ბორჯომში, შოვსა და გუდაურში ვიხილავთ. რჩეულიშვილმა სასტუმროების მდებარეობა კურორტების მიხედვით იმიტომ განსაზღვრა, რომ დამსვენებლებმა მხოლოდ სეზონზე კი არა, წელიწადის ოთხივე დროს შეძლონ დასვენება. ვისთან ერთად აპირებს სასტუმროების ქსელის გაფართოებას, როგორ უნდა იქცნენ ბანკები ბიზნესის პარტნიორებად, რატომ არ გაიკარებს რუსულ კაპიტალს და რა სიახლეს სთავაზობს ახალდაქორწინებულ წყვილებს? — „ვერსიას“ „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელი, მაია რჩეულიშვილი ესაუბრება.

რატომ მიყიდა „ნაბეღლავი“ მიხო სვიმონიშვილს, რატომ არ გაიკარებს რუსულ კაპიტალს, რა აპატია გიგი უგულავას და რა სიახლეს სთავაზობს ახალდაქორწინებულებს მაია რჩეულიშვილი

— ქალბატონო მაია, სამკურნალო ტურიზმის განვითარებას გეგმავთ?

— საქართველოს 21 კურორტზე მიწები დიდი ხნის წინ ვიყიდე, მაგრამ დაყადაღებულია. პროკურატურა ხელს გვიწყობს და, როგორც კი ინვესტორი გამოჩნდება, ყადაღას მოგვიხსნის. საქართველო უნიკალური ქვეყანაა. სამკურნალო ტურიზმის განვითარება იმიტომ გადავწყვიტე, რომ გენეტიკური კუჭის წყლული მაქვს. ვახოს ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქირურგ ვიშნევსკისთან. ახალი გათხოვილი ვიყავი, მოსკოვში მასთან წამიყვანეს. მითხრა, ქართველებში კუჭის წყლულის ოპერაციის აუცილებლობას ვერ ვხედავ, ისეთი ბალახეული გაქვთ, ამ პრობლემას გადაჭრითო. ვახოს ღვიძლი აწუხებს. ღვიძლისთვის არაჩვეულებრივია ხაჭო, რომელსაც საეკლესიო მაღაზიაში ვყიდულობ. ასევე ვაძლევ ბალახის ნაყენს — ადრე გერმანიიდან ჩამოგვქონდა მედიკამენტი. მას კოლოფზე ეხატა მცენარე, რომელიც, აღმოვაჩინეთ, გომბორზე ხარობს. დავიწყეთ მისი ნაყენის დამზადება. არაჩვეულებრივი შედეგი აქვს. მინდა წვლილი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტოლოგიის განვითარებაშიც შევიტანო. ბაკურიანი, ლიკანი, შოვი, გორი უკვე აშენებულია, სურამში ფუნდამენტია, მაგრამ წყალი, გაზი და დენი მიყვანილია, ლაგოდეხი დავკარგე, თელავის „ინტურისტი“ მოლაპარაკების პროცესშია, ფოთი ზუსტად ეკლესიის წინ მდებარეობს და იქაც ფუნდამენტი აშენებულია, ქუთაისში მშენებლობა დასამთავრებელია. მინდა, წყნარად ვიმუშაო ისეთ ადამიანებთან ერთად, ვისთანაც საქმიან ურთიერთობას „გარჩევებით“ არ დავასრულებ.

— „დექსუსთან“ ურთიერთობას გულისხმობთ?

— არა, „დექსუსს“ და გიგი უგულავას არ ვგულისხმობ. მათ საკუთარი მძიმე ტვირთი აქვთ. ღმერთს ვთხოვ, ყველა ქართველს დაეხმაროს პრობლემების მოგვარებაში... ვგულისხმობ ისეთ კაპიტალს, რომელიც შესაძლოა, ახლოს იყოს რუსულთან. რუსულ კაპიტალთან არ ვითანამშრომლებ! ეს უმნიშვნელოვანესია. ჩემი ოჯახის უახლოესი წევრი, მამუკა ჯინჭარაძე (ზურაბ ჟვანიას მეგობარი, მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, „სახალხო ბანკის“ დამფუძნებელი, რომელიც 2005 წელს, მოსკოვში მოკლეს, — ავტ.) ჩემი პარტნიორი იყო. მასთან იდეალური ურთიერთობა მქონდა. ერთად უნდა გვეყიდა „ნაბეღლავი“. შევარდნაძეს ვუთხარით, სამინისტროებმა ვიზირება მოგვცეს, მთავრობიდანაც მივიღეთ დადებითი რეზოლუცია, მაგრამ ლიცენზიის ყიდვის დროს, „ნაბეღლავის“ წყლის გამო, ლამის დავხოცეთ ერთმანეთი მე და მამუკამ. ბოლოს ისე გავმწარდი, მიხო სვიმონიშვილს დავურეკე, რომელიც უკვე უშვებდა „ნაბეღლავს“, ოღონდ სანიტარული ხაზი არ ჰქონდა. ჩემი ხელით გადავეცი საბუთები. მან იყიდა „ნაბეღლავი“ და ბედნიერი ვიყავი, რადგან 14 წლის განმავლობაში, მისი ხარისხი არ გაფუჭებულა.

— 21 კურორტთან დაკავშირებით, ვისთან აწარმოებთ მოლაპარაკებას?

— ქართველებთან, რომლებიც ამერიკაში, ერთ-ერთ საერთაშორისო ფონდში წამყვან მენეჯერებად მუშაობენ. მხოლოდ იმ პირობით მოდიან ინვესტიციის განსახორციელებლად, თუ ბიზნესში ინვესტიციად ჩადებული თანხიდან 1%-იანი მოგება რჩება. მათ უკვე ორი პროექტი გავუგ ზავნე. სავარაუდოდ, დადებით პასუხს მივიღებ და ერთად დავიწყებთ ამ საქმეს. ზოგადად, ბანკი ორიენტირებული, უკვე გაკეთებული საქმე წაგართვას. ადრე, პარტნიორ ბანკში 3, 5 მილიონი დოლარის კრედიტი ავიღე. ფინანსური კრიზისის დროს, კრედიტის გასტუმრება გაგვიჭირდა და მიწები ჩავდე. ბანკმა დახურა კრედიტი და მიწების რეალიზაცია დაიწყო. ჩემი მიწების გაყიდვით, დაახლოებით 200%-იანი მოგება მიიღო. 3,5 მილიონი დოლარი, მალე 7 მილიონ დოლარამდე გაზარდა. ამიტომ აღარ ვენდობი ბანკებს და დავუკავშირდი საერთაშორისო ფონდს. მათთან პარტნიორობით, მინდა, ბანკებსა და ბიზნესს შორის ვითარება გავაჯანსაღო.

— შეეცდებით, ბანკები ბიზნესის მეგობრებად აქციოთ?

— მარტივად შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. კომერციულ ბანკებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეთ არასაბანკო აქტივები. ამიტომაც იყო ძალიან მაღალი პროცენტები კრედიტებზე. ბანკები ბიზნესში არ უნდა შემოდიოდნენ. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს და დაალაგოს ბანკების მონაწილეობის უფლება ბიზნესში.

— მართალია, რომ როგორც მთავრობის წევრები ამბობენ, სამშენებლო ბიზნესი გამოცოცხლდა და შეჩერებული მშენებლობები განახლდა?

— სამწუხაროდ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგები სათანადოდ არ შეფასდა. მიუხედავად იმ ანტიპიარისა, რომელიც „ცენტრ-პოინტის“ წინააღმდეგ მიდიოდა, გამიმართლა, რომ ბევრი კლიენტი მყავდა. ახლა მათ საშუალებას ვაძლევთ, შეღავათიანი პირობებით შემოიტანონ ფული და ბინების მშენებლობა დასრულდეს. გამიმართლა, რომ ბანკის ვალი არ მქონდა. ბინების მსყიდველობითუნარიანობა ისეა დაცემული, ასეთი პერიოდი არ მახსოვს. ახალ კლიენტს ბინის შესაძენად თანხა არ აქვს, ერი ტოტალურად გაღატაკდა. თუმცა, ძირითადად, თავისი სისულელის გამო — ისეთი კრედიტები აიღეს, რომელსაც ვერ გადაიხდიდნენ.

— თქვენი აზრით, როგორი ბიზნესგარემოა საქართველოში?

— ჩემი კომპანიის მაგალითზე გეტყვით. იცით, როგორ გადამყავს ხალხი ერთი ობიექტიდან მეორეზე? ზუსტად ვიცი, რომ კონკრეტულ ადამიანს შეუძლია 250-დან 300 აშშ დოლარამდე დამატება, ეს ნიშნავს, რომ 60 კვ.მ. ფართში, 18 000 დოლარი უნდა შემომიტანოს, რაც წარმოუდგენლად დაბალი ფასია. პრაქტიკულად, სახელმწიფო გაკოტრებულია და ჩათვალეთ, ეს სეგმენტი მოკვდა. ხომ არ მოვსპობთ ყველაფერს და საქართველოს ერთ დიდ ჰესად ვაქცევთ? საქართველოში ჰესების მშენებლობის ისტერიული ფონია და გამოდის, ბრილიანტს ვსპობთ, რადგან რაჭა და სვანეთი იღუპება. ქვეყანა, სადაც 1 კვ/მეტრი მიწა გაცილებით ფასეულია, ვიდრე შენი წარმოებული ელექტროენერგია და ამ მიწას წყალს ასხამ, რადგან შენს შვილიშვილს მუდმივი შემოსავალი ჰქონდეს, ეს ნორმალური არ არის!

— რა ნაბიჯი უნდა გადადგას ხელისუფლებამ და როგორ უნდა დაეხმაროს სამშენებლო კომპანიებს?

— რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? ფართო გასაქანი, ანუ ფული უნდა მისცეს კომპანიებს და აკონტროლოს. ისინი რესურსსაც გამონახავენ და უამრავ პრობლემასაც დაძლევენ. შენ, სახელმწიფომ, ძველი ვალები კი არ უნდა დაუთვალო მშენებლებს, შესაძლებლობა უნდა მისცე, ახალი პროექტები დაიწყონ, რომლებითაც ძველ ვალებსაც დაფარავენ და ახალსაც დაასრულებენ.

— კომპანია დაიბრუნეთ, მაგრამ პრობლემები არ გადაჭრილა, სახელმწიფოს „ცენტრ პოინტის“ მიმართ, 100 მილიონი დოლარი მართებს. როგორ აპირებთ ამ ვალის ამოღებას, იმ ფონზე, როცა გიგი უგულავა დაპატიმრებულია?

— ყოველთვის წინ ვიყურები და გამორიცხულია უგულავაზე რამე გითხრათ. მთავარ პროკურატურაში 19 განცხადება შევიტანე, მაგრამ მათზე მოკვლევაც კი არ დაწყებულა. გიგიმ რა შეცდომებიც დაუშვა ჩემთან მიმართებაში, უკვე ვაპატიე... რაც შეეხება 100 მილიონს, პოტენციალს ვერ ვხედავ, რომ ვინმე დამიბრუნებს, რადგან დაბრუნების ტექნოლოგია არ აქვთ და არც იციან, ეს როგორ გააკეთონ. ეს თანხა, თბილისის მერიის განვითარების ფონდის დავალიანებაა, რომელსაც უამრავი აქტივი აქვს. ხომ შეიძლება, დამიბარონ და ვალის დაბრუნების მექანიზმზე დამელაპარაკონ? მსგავსი არაფერი ხდება. 17 თებერვალს, მერიისა და მერიის განვითარების ფონდის ერთობლივი წერილი მივიღე. მწერენ, თელავის „ინტურისტი“ 1 ლარად რომ წავიღეთ, გადასარევიაო და მადლობას მიხდიან. გჯერათ, რომ ლარად ვაჩუქე „ინტურისტი“ ვინმეს? შესაბამის დოკუმენტზე, ჩვენი ნებართვის გარეშეა ვახოს ხელმოწერა, მაგრამ არც ესაა გამოძიებული. ამის შემდეგ, ვის რა მოვთხოვო? იმედი აღარ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ოდესმე ეს საკითხიც გადაწყდება და მიხვდებიან, რომ ჩემნაირ ადამიანს ქონება უნდა ჰქონდეს. სამშენებლო ბიზნესში პრობლემებთან დაკავშირებით, კიდევ ერთ წერილს წაგიკითხავთ, რომელიც „მარიჯანის“ დებიტორებს მივწერეთ: „თქვენ შემოსატანი გაქვთ 890 ათასი აშშ დოლარი. თუ შეიძლება, გაგიკეთებთ ყოველთვიურ მოქნილ გრაფიკს, შემოიტანეთ 600 აშშ დოლარი. შენობის 85% დასრულებულია, დარჩა 15%“. პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს ფული არ აქვთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, შიდა რეზერვებს გამოძებნის, რათა საკუთარი ქონება გააცოცხლონ. ამ ეტაპზე, დასამთავრებელი გვაქვს სააკაძის მოედანზე პირველი კორპუსი, ღრმაღელე და მიმდინარე პროექტები, სადაც მშენებლობა დასრულებულია. თუმცა თანხა უნდა შემოვიდეს, რომ ბინები შეილესოს, შეიღებოს და მოწესრიგდეს.

— გიგი უგულავაზე საუბარი არ გსურთ. პროკურატურა მას სწორედ მერიის განვითარების ფონდიდან გაფლანგული თანხების გამო ედავება, მაგრამ ბრალსაც ვერ უმტკიცებს. არადა, გიგი უგულავას გამო აქვს თბილისის მერიას „ცენტრ პოინტის“ ვალი, ხომ ასეა?

— დიახ, ამ მდგომარეობაში მის გამო ჩავარდა კომპანია. ვითხოვდით, გამოეძიათ, ვინ ბეჭდავდა „ცენტრ-პოინტზე“ სიბინძურეებს. რა უნდოდა, ამის გამოძიებას? სოციალურ ქსელში, დაზარალებულებმა ჩემზე ისეთი რამ დაწერეს, მივხვდი, ენას ძვალი არ აქვს. შური სასიკვდილო ცოდვაა. ღვარძლსა და ბოღმას სწორედ შურიანი ადამიანები ანთხევენ. შენი ენერგიის, ცხოვრების სტილისა და საერთოდ, იმ ყველაფრის შურთ, რასაც აკეთებ. გულწრფელი ვარ თქვენთან და ერთ საოცრებას გიამბობთ. დედა რომ გარდაიცვალა, მინდოდა, ლამაზად დამეკრძალა. უამრავი ნიუანსი გავითვალისწინეთ, მათ შორის ისიც კი, სად უნდა დაგვედგა ყვავილები... ღამის თორმეტის ნახევარზე, ნიკა მემანიშვილი მოვიდა, სახლში ვიყავით მე, ვახო, რუსო და მამიდა. იქ, სადაც დედა ესვენა, თეთრი როიალი იდგა, ნიკამ გადაწყვიტა, გამოსამშვიდობებლად, ლამაზი სონეტი დაეკრა. ვახომ ვერ მოითმინა, გადაიღო ეს სურათი და აცებოოკ-ის საკუთარ გვერდზე ატვირთა. ვერ გეტყვით, რა რეაქცია მოჰყვა ამას, გავოგნდი, რადგან ჩემს სიცოცხლეში, გარდაცვლილის გამო შური აღარ გამიგია! ეს უკვე მეტისმეტი იყო! ზომაზე მეტად გვშურს ერთმანეთის, მაგრამ ესეც უნდა გადავლახოთ და ისევ ერთმანეთის გვერდით დავდგეთ.

— დაყადაღებული ქონება ახსენეთ. რა ეტაპზეა გამოძიება?

— ვერ გეტყვით, რომ ზეწოლას განვიცდით. სასამართლო და პროკურატურა დინჯად და აზრობრივად მოგვყვებიან. ჩემი 24-საათიანი მუშაობის მთავარი ამოცანა ახლა ისაა, ძალიან მალე, არცერთი დაზარალებული არ მყავდეს. ოღონდ ეს პროცესი წლის ბოლომდე გაგრძელდება. ამის შემდეგ მშენებლობას გავაგრძელებ, სადაც უდიდესი გამოცდილება მაქვს. არავინ შემეჯიბროს ამ გამოცდილებაში, არც ქალი და არც კაცი! მინდა, საკუთარი რეზერვით შიდა, უპროცენტო განვადება დავნერგო, რათა ყველამ შეძლოს ბინების შეძენა, განსაკუთრებით — ახალგაზრდებმა.

— ახალგაზრდებისთვის თქვენს სასტუმროებში ქორწინების ცერემონიის ორგანიზებასაც გეგმავთ?

— ხუთი სასტუმრო მაქვს და ამ სიახლეს თელავიდან დავიწყებ. ვგიჟდები საჯარო რეესტრზე, მაგრამ როცა საქორწინო კაბაში გამოწყობილი გოგონა, საქმროსთან ერთად ხელს რეესტრში აწერს, არ მომწონს. ყველა ჩემი სასტუმრო ისეთია, სადაც ქორწინების რიტუალის ორგანიზებაა შესაძლებელი. მაგალითად, თელავში, ერეკლეს მოედანზე მაქვს პატარა სასტუმრო, რომელიც ნიკო ცეცხლაძის მოხატულია. სულ რაღაც 60 ლარი დამიჯდება, იქვე, საჯარო რეესტრიდან, წარმომადგენელი მოვიწვიო და ხელისმოწერის ცერემონია გავმართოთ. რაც შეეხება ფურშეტს, მინდა ტორტი, ყვავილები, ტკბილეული და მუსიკა ახლადდაქორწინებულებს მე დავახვედრო. ამის შემდეგ გადავუხდი ქორწილს სასტუმროში და ღამე, ნეფე-დედოფლის ოთახში უფასოდ დავტოვებ. აი, ეს მინდა გავაკეთო თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და სიღნაღში, მაგრამ, როგორც გითხარით, ჯერ თელავიდან ვიწყებ. ახლა ბოლო დეტალებს ვაზუსტებთ და ძალიან მალე შევთავაზებთ ამ სერვისს წყვილებს.

ვერსიანიუსი

2008 წლის აგვისტომდე დაწყებული მშენებლობები დღგ-სა და K2 მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლდება

შეჩერებულ ბინათმშენებლობებზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებამდე ისაუბრა: **„მივიღეთ გადაწყვეტილება, ის სამშენებლო ობიექტები, რომელთა მშენებლობაც დაიწყო 2008 წლის აგვისტომდე და დღემდე არ დასრულებულა, გავათავისუფლოთ სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან, კერძოდ, დღგ-სა და K2 მოსაკრებლის გადახდისაგან“. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განმარტებით, 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა და აგვისტოს ომმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონია სამშენებლო სექტორზე, რამაც შეაფერხა სამშენებლო დარგის განვითარება: საბანკო დაკრედიტების გამკაცრებამ და უძრავ ქონებაზე მოთხოვნის შემცირებამ, სერიოზული ზიანი მიაყენა სამშენებლო დარგს. შედეგად კი, კომპანიებს სახელმწიფოს მიმართ მნიშვნელოვანი ვალდებულებები დაუგროვდათ, რაც მათ მძიმე ტვირთად აწვება და ხელს უშლის ამ დარგის განვითარებას“.**

ღარიბაშვილის თქმით, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამშენებლო სექტორის შემდგომ განვითარებას და ამ დარგიდან დადებითი ეფექტის გადაცემას სხვა სფეროებზე, კერძოდ, სამშენებლო მასალების და სარემონტო მომსახურების სფეროებზე. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთი სიახლის შესახებ ისაუბრა – მთავრობის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი, 20%-ის ნაცვლად, 5%-ით დაიბეგრება: **„გვაქვს კიდევ ერთი სიახლე, რომელიც საინტერესო იქნება საცხოვრებელი ბინის გამქირავებელი ფიზიკური პირებისთვის. კერძოდ, ბინის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით, ნაცვლად 20%-ისა“.**

„პირველი“

ციხის ფსიქიატრიულის კოშმარები

როგორ „გააფუჭეს“ ნაციონალებმა ურჩი ბიზნესმენის უდანაშაულო შვილი

პატიმარი №0578

არავინ იცის, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი რაზეა წამსვლელი. როცა ზურგსუკან ციხის კარი ხმაურით იხურება და ხვდები, შენს მეტი პატრონი და მშველელი არავინ გყავს, იმაზე იწყებ ფიქრს, როგორ გადარჩე. გადასარჩენად კი ხშირად პატიმრები რადიკალურ ნაბიჯებზეც მიდიან. ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი ციხის ექიმების მოტყუება, თავის მოგიჟიანება და ფსიქიატრიულში წასვლაა. იქ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს — რეჟიმი მკაცრი არაა, ახლობლები თუნდაც ყოველ დღე რომ მოვიდნენ სანახავად. ერთი ეგაა, ფსიქიატრიულში მართლა ავადმყოფებიც არიან და ფსიქოლოგიურად ამის გაძლება ძნელია.

სანდრო ე. მამამისის გამო დაიჭირეს. მამას, ცნობილ ბიზნესმენს, დიდი ფული ჰქონდა. წინა ხელისუფლებამ რამდენჯერმე გაწეწა და ბოლოს, როცა არარეალური თანხა მოითხოვეს, უარი თქვა. შედეგად დაჭერით დაემუქრნენ, მაგრამ გაასწრო. სამაგიეროდ, შვილმა ვერ გაასწრო და იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი ბანკის წარმატებული მენეჯერი იყო, დააპატიმრეს. სტანდარტული ბრალდება წაუყენეს — დიდი ოდენობით ნარკოტიკის შეძენა-შენახვა. ვერც მოხმარება დაუმტკიცდა, ვერც გასაღება და ბოლოს, შეძენა-შენახვაზე მისცეს 13 წელი.

„დედა მთელი ცხოვრება ფსიქიატრიულში მუშაობდა, უამრავი მეგობარი ჰყავს. იქ უნდა წავიდე, ჯანმრთელობის პრობლემების გამო უკეთ მომივლიან. ამათი ცემის მერე ნაწლავები მაქვს დაბზარული და ერთმანეთზე ხორცდება. იქ მიშველიან და გადავრჩები. თავი უნდა მოვიგიჟიანო. საქმის კურსში გაყენებთ, რომ არ გაგიკვირდეთ, სანდრო რამ გააგიჟაო“, — უთხრა სანდრომ ზონის მაყურებლებს და მათაც ღიმილით თავი დაუქნიეს.

„მეტიც, შეგიძლია მაყურებლებს აგინო, მაგით მიხვდებიან, რომ მართლა გარეკე, ისე ვინ გაბედავს ამათ გინებას“, — უთხრა პატიმარმა №0578-მა თქვა და სანდროს თვალი ჩაუკრა.

„არა, ამას ნუ დაუჯერებ, ჩვენი გინება არ გინდა, დანარჩენი, რაც გინდა, ის გააკეთე, ჩვენგან მწვანე გაქვს“, — მაყურებლებმა №0578-ს თავისქნევით გახედეს.

მეორე დღეს სანდროს საკანის „პრავერკაზე“ ხმაური ატყდა. პატიმარი ბადრაგს დედას აგინებდა და თან ხარხარებდა. ბადრაგმა სანდრო კარცერში გააქანა და 5 დღით ჩასვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კარცერიდან არაადამიანური ღრიალი ისმოდა.

„მართლა არ გარეკოს ამან“, — სიცილით თქვა მესამე დღეს მაყურებელმა. სხვები არ დაეთანხმნენ, სანდრომ როგორ უნდა გარეკოსო.

კარცერიდან ამოყვანილი პატიმარი ხან ზონის ეზოში დარბოდა, ხან შიშვლდებოდა, ხან ლეიბებს გამოყრიდა გარეთ, თუმცა ზონის ხელმძღვანელობას არაფრის გაგონება არ სურდა და ელემენტარულად ფსიქიატრიც კი არ მოჰყავდა.

„ხვალ ვენები უნდა გადავიჭრა კამერის წინ, სხვა გზა არ არის“, — სანდრო ისევ მაყურებლებთან იჯდა.

„შენი საქმის შენ იცი, მაგრამ ჩეჩენასთან გაიარე კონსულტაცია. ეგ კვირაში ერთხელ იჭრის ვენებს, მაგრამ არაფერი სჭირს. ზუსტად იცის, ბრიტვა სად დაისვას. შემთხვევით მართლა ვენა არ გადაიჭრა და არ შემოგვაკვდე“, — ურჩია მაყურებელმა.

მეორე დღეს სანდრო ზონაზე დამონტაჟებულ ერთ-ერთ კამერასთან დადგა, მკლავი გაიშიშვლა და ვენებზე რამდენჯერმე დაისვა ბრიტვა. სისხლმა იფეთქა და იატაკი წითლად შეიღება. ბადრაგმა ექიმები გადმოიყვანა, თუმცა სანდრო ექიმების დანახვაზე სულ გაგიჟდა, ახლოს არ მიუშვა, ხელის გაკერვის ნება არ მისცა. საბოლოოდ ის მაინც გააკავეს და გადასერილ ვენებზე ნაკერები დაადეს.

„საშიში არაფერია, ვენები არ არის დაზიანებული, იცოდა, რასაც აკეთებდა“, — ექიმებმა საკუთარი აზრი ზონის უფროსს, ლაშა ბრეგვაძეს მოახსენეს. თავის მხრივ ბრეგვაძე ზონაზე გადმოვიდა და სანდროს სახალხოდ დასცინა, შენი ტყუილებით შორს ვერ წახვალო და...

მეორე დღეს სანდრო ისევ იმავე კამერის წინ დადგა, არეული თვალებით გახედა მაყურებლებს და ვენებზე მჭრელი საგანი ისევ დაისვა.

„აღარ ხუმრობს, გააჩერეთ“, — იყვირა №0578-მა და სანდროს ეცა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თითქმის ძვლამდე ჩაჭრილი ხორციდან სისხლი რამდენიმე მეტრზე ასხამდა. ბადრაგმა ექიმების გადმოყვანა დააგვიანა, ბიჭებს ვენაზე ხელი ედოთ, მაგრამ სისხლს ვერ აჩერებდნენ და როცა ექიმებმა ჭრილობა ნახეს, სახეზე შეეტყოთ, შეეშინდათ.

„სასწრაფოდ გასაკერია და გადასაყვანია საავადმყოფოში, ბევრი სისხლი დაკარგა და თუ გადასხმებს არ გაიკეთებს, მოკვდება“, — ასეთი იყო ექიმების ვერდიქტი. სანდრო წაიყვანეს და ზონაზე მეხუთე დღეს დააბრუნეს. ქაღალდივით თეთრი იყო, ხელზე უამრავი ნაკერი ედო და მკლავი კისერზე ჰქონდა ჩამოკიდებული.

„ამათ თუ მართლა სისხლი არ ანახე, ისე არაფერი გამოვა. კინაღამ წერილი წავიღე. ერთი ასეთი კიდევ და წამიყვანენ ფსიქიატრიულში, აბა, რა იქნება“, — ნაღვლიანი ღიმილით თქვა სანდრომ.

„ერთი ასეთი კიდევ და შეიძლება კუკიაზე წაგიყვანონ“, — უთხრა №0578-მა.

„ჰო, ვიცი, მაგრამ სხვანაირად არაფერი გამოვა. რა მნიშვნელობა აქვს რით მოვკვდები, თუ არ ვიმკურნალებ, ისედაც „ტრუპი“ ვარ“, — ჩუმად თქვა სანდრომ.

რამდენიმე დღის შემდეგ იგივე განმეორდა — სანდრო კამერასთან მივიდა და ახლა მეორე მკლავი გადაიხსნა. გზაც იგივე გაიარა, ჯერ ციხის „ბალნიჩკა“, მერე გლდანის საავადმყოფო, მერე ისევ უკან ზონა, მაგრამ ფსიქიატრიულში მის გაშვებას არავინ აპირებდა.

„დამიჯერე, გარეთ ვიღაცას გადაუხადეთ და ისე წადი ფსიქიატრიულში. ხდება ასე, არ არის რთული, აკეთებენ ამას. ახლა კი ამბობენ, კორუფცია მოვსპეთო, მაგრამ მინიმუმ სამ კაცს ჩამოგითვლი, რომლებმაც გადაიხადეს და სროკს ახლა ფსიქიატრიულში იხდიან“, — უთხრა სანდროს მაყურებელმა.

„რაა?! შენ ხარ გიჟი, ნამდვილი გიჟი. ეგ თუ იცოდი, ამ კაცს სხეული რას დააჩეხინე, ორჯერ კინაღამ ხელში ჩაგვაკვდა“, — თითქმის ყვიროდა №0578.

„ჰო, რა ვიცი, აღარ გამახსენდა. იმასაც გავიგებ, მაყუთს ვინ იღებს ამ საქმეში და გეტყვი“, — დარცხვენით თქვა მაყურებელმა და ერთი თვის შემდეგ, 12 ათასი დოლარის სანაცვლოდ, სანდრო ფსიქიატრიულის გზას გაუყენეს. ბოლომდე იბრძოდა ლაშა ბრეგვაძე, არ არის ეს კაცი გიჟიო, მაგრამ არავინ „დაუჯერა“.

ორი თვის შემდეგ, სანდრო ისევ ზონაზე დააბრუნეს. მისი დანახვა ყველას გაუკვირდა, მაგრამ თავად ახლადმოსული აშკარად ბედნიერი იყო.

„დავიბრიდები ასე. კი, ყურადღებას მაქცევდნენ, თან მყვებოდნენ, მაგრამ არა რა, იქაურ საგიჟეთს აქაური მირჩევნია. იცი, რა დღეში არიან ბიჭები? ვერ ვუყურებ რა ყოველ დღე იმათ. ცალკე ოთახშიც კი გადავედი, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა, ყვირილის ხმა მაღვიძებდა ღამე. თან პატრონი არავის ჰყავს, ვის რა აცვია, ვინ რას ჭამს... სიგარეტზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი, ერთ ღერს მოვუკიდებდი და ათი კაცი გიყურებდა, ნაფაზი დამარტყმევინეო. ვუყიდე, ერთი ყუთი „ასტრა“ მოვატანინე, ოთხასი კოლოფი ჩემებს, მაგრამ რად გინდა, ერთ დღეში აღარ იყო, მოწევდნენ, კიდევ უკიდებდნენ და ასე დაუსრულებლად. ფსიქოლოგიურად ვერ გავძელი რა, თქვენი სიფათების ყურება ჯობია, მე მოვკვდე“, — დაასრულა მონოლოგი სანდრომ.

„და ის 12 ათასი?!“ — ჰკითხა მაყურებელმა.

„რომელი 12 ათასი?!“ — გაიოცა სანდრომ.

„აი ის, შენი წაყვანის სანაცვლოდ რომ გადაიხადე, უკან არ ართმევ? პრაქტიკულად ხომ არ გაამართლა ამ ყველაფერმა?!“ — დაასაბუთა მაყურებელმა.

„ეს მართლა გიჟია, ნამდვილი გიჟი“, — გაეღიმა №0578-ს.

რა პირობებით იღებს საქართველო უკრაინელ დევნილებს

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში, ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან საქართველოსგან თავშესაფარი უკრაინის 400-ზე მეტმა მოქალაქემ ითხოვა. ამჟამად, სამინისტრო განიხილავს 359 პირისთვის თავშესაფრის მინიჭების საკითხს. მათგან 207 ეთნიკურად უკრაინელია, 97 ქართველი, 32 რუსი, 23 პირი კი სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილებისაა.

უკრაინელი დევნილებისთვის თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს სოზარ სუბარს, უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვასილ ციბენკო შეხვდა. უკრაინის ელჩი ქართულ უწყებაში დააიმედეს, რომ თავშესაფრის მაძიებელ უკრაინის მოქალაქეებს სამინისტრო გამარტივებული წესით, საქმის არსებითი შესწავლის შემდეგ მიანიჭებს თავშესაფარს. ძირითადად, საუბარია დამატებითი დაცვის სტატუსზე. პირი აუცილებლად უნდა იყოს უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონიდან, კერძოდ კი, ლუგანსკიდან და დონბასიდან. უკრაინის სხვა ქალაქის მაცხოვრები დევნილად არ განიხილება. მიმდინარეობს საერთო ვითარების გაანალიზება, თუმცა საუბარი არ არის ინდივიდუალურ დევნაზე, პოლიტიკური, რელიგიური თუ რასობრივი ნიშნით.

საქართველოს 2 000-ზე მეტი საკუთარი ადგილნაცვალი პირი ჰყავს. ქვეყანამ არაერთი ომი გამოიარა, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია, დევნილობის ტრაგედია ქართული საზოგადოებისთვის უცხო აღარ არის და ამ ადამიანების მიმართ ბუნებრივად ჩნდება თანაგრძნობა. გარდა ამისა, უკრაინელი დევნილების მიღება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებაცაა. ამას ითვალისწინებს ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაც და ჟენევის კონვენციაც. უკრაინელი დევნილების ფინანსურ დახმარებაზე გაერო-ს უმაღლესი კომისარიატი ზრუნავს.

„ვერსიას“ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში განუცხადეს, რომ უკრაინელი დევნილებისთვის სოციალური პაკეტი მათი ჩამოსვლის დღიდან დგება. გარდა ამისა, თბილისის საკრებულომ მერიის თხოვნის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, სკოლამდელი ასაკის პროგრამაში შეეყვანათ უკრაინელი დევნილი ბავშვები. ეს ადამიანები ასევე ჩართულები არიან საყოველთაო დაზღვევის პროგრამაშიც.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილის, ირაკლი კოკაიას ინფორმაციით, ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრება დევნილი ოჯახის წევრთა რაოდენობით, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სოციალური საჭიროების მიხედვით. მისივე ინფორმაციით, ჟენევის კონვენციის საფუძველზე, საქართველო ვალდებულია, ეს ადამიანები შეინახოს, სანამ მათთვის სამშობლოში საფრთხე არსებობს. საშიშროების აღმოფხვრის შემდეგ კი, დევნილები ვალდებულნი არიან, უკან დაბრუნდნენ.

უკრაინიდან დევნილი ეთნიკური ქართველების უმრავლესობა საქართველოს ყოფილი მოქალაქეები არიან და აქვთ ნათესაური კავშირები, რაც ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მათ მუდმივი ბინადრობის ნებართვის მოპოვების საშუალებას აძლევს. ხოლო მათთვის, ვინც უარს იტყვის ბინადრობის ნებართვის უფლებაზე, კანონმდებლობის თანახმად მოქმედებს თავშესაფრის მინიჭების პროცედურა. უკრაინელ დევნილებს თავშესაფარს მარტყოფის განთავსების ცენტრში აძლევენ, ან უხდიან ბინის ქირას 300 ლარის ოდენობით. დევნილებთან დაკავშირებულ პროცედურებს მკაცრად აკონტროლებს გაერო-ს სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი.

ქართველი ექსპერტები იხსენებენ 1992-93 წლებს, როდესაც, აფხაზეთის ომის დროს უკრაინამ უამრავი ქართველი დევნილი შეიფარა. შესაბამისად, მიაჩნიათ, გარდა იმისა, რომ ეს საქართველოს მორალური ვალდებულებაა, ორივე ქვეყანას საერთო მტერი ჰყავს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საზოგადოებრივი კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის ალლუპ-ის სოციოლოგიური კვლევის ბოლო შედეგი, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციას საშიშ მტრად მიიჩნევს აშშ-ს მოქალაქეების 18%. ამ მაჩვენებელმა წინა წლების მონაცემებთან შედარებით საშუალოდ 10%-ით მოიმატა. რუსეთმა ჩამოიტოვა „საშიში ქვეყნების“ იმიჯისმქონე ერაყი, ირანი, კორეა.

საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები უკრაინისთვის გაწეულ დახმარებას, ზღვაში წვეთად, ან იძულებით ნაბიჯად მიიჩნევენ. „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის, **მამუკა კაციტაძის** აზრით, საქართველოს ხელისუფლების მოქმედება უკრაინის მიმართ ძალდატანებით ნაბიჯებს ჰგავს: **„თუ არ ატყდა აჟიოტაჟი, არიქა, რამე თქვით უკრაინაზე, ჰუმანიტარულად დაეხმარეთო, არაფერს აკეთებენ. ორი თვის განმავლობაში ფიქრობდა საქართველოს ხელისუფლება, მედიკამენტებით დატვირთული თვითმფრინავი გაეგზავნათ უკრაინაში თუ არა. პოლიტიკური განცხადებები არც კი გაკეთებულა, თუ არ ჩავთვლით იმ ტიპის განცხადებებს, უკრაინაში სამხედრო დაპირისპირება არ მოხდებოდა, 2008 წელს საქართველოსათვის ვინმეს ყურადღება რომ მიექციაო“.**

მამუკა კაციტაძის თქმით, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო დევნილების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა: **„შესაძლებლობის ფარგლებში, თუ მართლა გული შეგვტკივა ჩვენ მეზობელზე, დამხარების გარკვეული რესურსი უნდა გამოვნახოთ“.** კაციტაძეს მიაჩნია, რომ დღეს საქართველომ ყურადღებისმიღმა არ უნდა დატოვოს ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ყურადღების ეპიცენტრშია. კაციტაძე ხელისუფლებას ურჩევს მეტი პოლიტიკური აქტიურობა გამოიჩინოს.

დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში კონფლიქტის დაწყების დღიდან, უკრაინელი დევნილების ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 40 300 ადამიანი, რუსეთის ტერიტორიაზე გადავიდა. დევნილებს ძირითადად მოსახლეობა იფარებს, მათგან 10 452 ბავშვია.

ტუბერკულოზი – კაცობრიობის „მეორე ებოლა“

მსოფლიო დაავადების ახალ შტამს ებრძვის, რა მდგომარეობაა საქართველოში?

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შორის ტუბერკულოზი დაფიქსირდა. მაშინვე გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ამ შემთხვევებს ერთმანეთთან კავშირი არ ჰქონდა, თუმცა მოსახლეობას რამდენად გვაქვს სიმშვიდის საფუძველი, ესაა გასარკვევი. მით უმეტეს, მსოფლიოში არსებული ფონი მაინცდამაინც სახარბიელო არ არის.

რამდენიმე დღის წინ, ლუგანშჩინის საბავშვო ბაღში ტუბერკულოზის ღია ფორმა გამოვლინდა. დაავადება აღმზრდელს აღმოაჩნდა, მასთან უშუალო შეხება კი 36 ბავშვს ჰქონდა; პრიმორსკის ერთ-ერთ სკოლაში გამოვლენილი რამდენიმე ათეული შემთხვევის შედეგად, ეჭვი ეპიდემიაზე აქვთ... არც ევროპაში შექმნილი ვითარება იძლევა სიმშვიდის საფუძველს და ამიტომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ტუბერკულოზთან ბრძოლის ახალი სტრატეგია შეიმუშავა. რამდენად ეფექტური იქნება დაავადებასთან ბრძოლის მეთოდები, ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ბოლო პერიოდში ყირგიზეთში ტუბერკულოზის ბევრად მდგრადი ფორმა დაფიქსირდა. ადგილობრივი ფტიზიატრის, ატირკულ ტოკტოგონოვას ინფორმაციით, თუ მკურნალობის ეფექტურობა ადრე 71-78% იყო, ახალა მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული და ამ ფონზე ლოგიკურად ჩნდება კითხვა — ხომ არ დადგა მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე?

ორგანიზაცია The World Vision-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, ტიმ კოსტელომ ტუბერკულოზის გავრცელების მასშტაბი გამოიკვლია და მივიდა დასკვნამდე, რომ ეს დაავადება არანაკლები სისწრაფით ვრცელდება, ვიდრე ებოლა. მსოფლიოში დაავადების ტენდენცია თითქოს კლებისკენ მიდის, მაგრამ პაპუა-ახალ გვინეაში ყველაფერი სხვაგვარადაა — იქ ყოველდღიურად დაახლოებით 30 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება, 400 ადამიანი კი მულტირეზისტენტული შტამითაა ინფიცირებული, რაც თითქმის არ ექვემდებარება მკურნალობას. გვინეას ავსტრალიასთან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი აშორებს და სწორედ ამიტომ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უკვე გამოყო 18 მილიონდოლარიანი გრანტი დაავადებასთან ბრძოლისთვის. კოსტელო ყველა შესაბამის სტრუქტურას დაუყოვნებლივ რეაგირებისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალალო შედეგებს პროგნოზირებს და აღნიშნავს, თუ ასე გაგრძელდა, ტუბერკულოზი მსოფლიოსთვის მორიგი „ებოლა“ გახდებაო. ავსტრალიის ჯანდაცვის მინისტრი შექმნილ მდგომარეობას საგანგაშოს უწოდებს და აცხადებს, რომ გარდა გავრცელების მასშტაბებისა, პრობლემას მკურნალობის თანხები ქმნის — ტუბერკულოზის ახალი შტამის მკურნალობა 4-დან 18 ათას აშშ დოლარამდე ღირს და დიდ დროს საჭიროებს.

შეშფოთებულნი არიან მეცნიერებიც, მათ ტუბერკულოზი ყველაზე სერიოზულ საფრთხედ აღიარეს კაცობრიობისთვის და ეჭვობენ, მალე შესაძლოა დაავადებასთან ბრძოლის აქამდე არსებული მეთოდები უშედეგო აღმოჩნდეს. სხვათა შორის, ამ ვარაუდს ვერც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ეწინააღმდეგება და შემდეგ მონაცემებს აქვეყნებს: ტუბერკულოზით ავადობის 8,7 მლნ ახალი შემთხვევა, 1,4 მლნ გარდაცვალება (!).

რას ნიშნავს ეს? რატომ ვერ უმკლავდებიან ექიმები ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტულ ტუბერკულოზს. ორგანიზაციამ თ ლლიანცე დაავადების ეს შტამი მსოფლიო საფრთხედ დაასახელა, რომელიც წინასწარი მონაცემებით, დაავადებულთა მეხუთედში ვლინდება. **„უახლოეს პერიოდში ახალი ვაქცინის შემუშავების იმედიც არ არსებობს. დაავადება საკმაოდ რთულია და, შესაძლოა, საჭირო გახდეს რამდენიმე სახის ვაქცინა“**, — აცხადებენ სპეციალისტები.

ექიმი მარიო რავიგლიონე ამბობს: **„ბოლო 17 წელიწადში 20 მილიონზე მეტი ადამიანი გადაარჩინეს, მაგრამ ახლა მსოფლიო კრიტიკულ ზღვარზეა — ან დავამარცხებთ ტუბერკულოზს ან ის გაანადგურებს კაციობრიობას“.**

უკვე დადასტურებული ინფორმაციით, ირკვევა, ტუბერკულოზი, რომელიც ყოველწლიურად 1-2 მილიონ ადამიანს კლავს, აფრიკაში დაახლოებით 70 ათასი წლის წინ გაჩნდა. დაავადების გამომწვევი მიკრობაქტერია Mycobacterium tuberculosis-ია, რომელიც ცნობილია ასევე „კოხის ჩხირის“ სახელწოდებით. გერმანელმა ბიოლოგმა რობერტ კოხმა ეს მოკროორგანიზმი 1882 წლის მარტში აღმოაჩინა, შემუშავდა ვაქცინაც, „ბეცეჟე“, რომელსაც ჩვილებს სამშობიარო სახლში უკეთებენ, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ეს დაავადების პრევენციას ვერ ახდენს უკვე მოზრდილ ასაკში, რისი დასტურიცაა ევროპის აღმოსავლეთით არსებული ვითარება — დაავადებულთა 50%-ს სამკურნალო პრეპარატები ძნელად შველის, ხოლო ზოგიერთი შტამი, რომელიც ძირითადად, ინდოეთსა და ერაყში ფიქსირდება, ფაქტობრივად, განუკურნებელია!!!

რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოში? — მშვიდი და აუღელვებელი! დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიც ვერაფერს ხედავს საგანგაშოს, რადგან **„ყოველწლიურად ფიქსირდება ტუბერკულოზის შემთხვევები, მათ შორის, სკოლის ასაკშიც... ეს მუდმივი პროცესია და რატომ გახდა ყურადღების საგანი ახლა, ნამდვილად ვერ ვხვდები. შევცვალეთ სისტემა, ვავლენთ ყველა კონტაქტირებულს, რომლებიც გადიან სტანდარტულ კითხვარს სპეციალისტებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი გამოკვლევები ინიშნება. მთავარია, ადრეული გამოვლენა, მერე კი სათანადო მკურნალობა“...** ეს გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსის, **ხათუნა ზახაშვილის** კომენტარია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაავადების არსებობას ასე ხსნის — **„ტუბერკულოზის გავრცელებით საქართველო ნამდვილად გამოირჩევა და ის ჩვენი ქვეყნისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა“.**

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემა“, რომელსაც სოციალური ფონი ქმნის? — ამ კითხვაზე, წესით, ერთი პასუხი უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად სულაც არ ყოფილა: **„ასეთი შეხედულება ადრე არსებობდა, მაგრამ რეალურად ცხოვრებამ აჩვენა, რომ კეთილსაიმედო გარემოშიც თავისუფლად შეიძლება არსებობდეს ეს დაავადება“.**

გამოდის, საშველი არ ყოფილა, მით უმეტეს, რომ „კოხის ჩხირმა“ კეთილსაიმედოდ შეიძლება გაურკვეველი წარმოშობის ვირუსებიც „მიიჩნიოს“, რომელიც ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია. ქალბატონი ხათუნა ამ აზრს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ **„ტუბერკულოზს აქვს კონკრეტული გამომწვევი ჩხირი, გრიპი ამ დაავადებად ვერანაირად ვერ გადაკეთდება... უბრალოდ, ჩვენთან არის ეს ჩხირი გავრცელებული და ინფიცირების რისკიც ყველას გაგვაჩნია, ვინც საქართველოში ვცხოვრობთ, თუმცა განგაშის საფუძველი არ გვაქვს. რამდენიმე წელია ერთნაირი სიტუაცია გვაქვს... მთავარია, მოსახლეობა იყოს ინფორმირებული და მკურნალობისას ზედმიწევნით შეასრულონ მოთხოვნები“.**

გახანგრძლივებული ცხელება, წონაში კლება, ოფლიანობა, ხველა... ტუბერკულოზის სიმპტომებია და ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ფტიზიატრის ჩარევა. იმედია, დაავადების ახალ შტამს ჯერ საქართველომდე არ მოუღწევია. ადგილობრივი სპეციალისტებიც მას განკურნებად დაავადებებს შორის ასახელებენ, მთავარია, მკურნალობა ფტიზიატრმა დანიშნოს და ზედმიწევნით შესრულდეს ყველა მოთხოვნა. რაც შეეხება დროსა და სახსრებს, კი ბატონო, დაავადების მკურნალობა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და არც მცირე თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ხარჯს საყოველთაო დაზღვევა ანაზღაურებს, ასე რომ, საქართველოში ტუბერკულოზის მკურნალობა უფასოა.

რაც შეეხება მონაცემებს, ხათუნა ზახაშვილის ინფორმაციით, ყოველწლიურად საქართველოში 4 ათასი ახალი შემთხვევა ფიქსირდება. თუმცა ეს რიცხვი, ორ წელიწადში წითელას 15 ათას შემთხვევასთან, ალბათ არაფერია, ყველაფერი ხომ შედარებითია? საკითხავი ისაა, დაავადებულთა რა რაოდენობა უნდა დაფიქსირდეს, რომ ჯანდაცვის მესვეურნი მინიმუმ შეშფოთდნენ მაინც. რაც უნდა იყოს, ცოტანი ვართ და ათეული ათასი დაავადებული, ჩვენი ქვეყნისთვის, მინიმუმ, ფუფუნებაა!

თბილისში ნაგვის ურნებს დაამატებენ, ნაგვის მანქანები კი გარკვეული შეზღუდვით იმოძრავებს

იხსნის თუ არა ნაგვისგან ქართველებს ნარჩენების ახალი კოდექსი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ნაგვის გადაყრის პრომორგოლები დიდი ხანია ტელევიზიით გადის, მარტივი სლოგანით — „ნაგვის გადაყრა მარტივია“. არადა, გამოდის, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ეს არც ისე იოლი „საქმეა“ — ბევრმა ვერა და ვერ ისწავლა, არ დაანაგვიანოს გარემო. ერთხელ, ერთმა უცხოელმა მითხრა: ფრთხილად დავდივარ თბილისის ქუჩებში მას მერე, რაც თავში კორპუსიდან გადმოგდებული ნაგვის შეკვრა მომხვდაო. დღეს უკვე, მსგავსი სამარცხვინო ქმედების ჩამდენი 100 ლარით ჯარიმდება. ძალაში 15 იანვარს შესული კანონით, წესით, ნარჩენების პრობლემა უნდა აღმოიფხვრას.

ნარჩენების კოდექსის მიხედვით, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერაა შემუშავებული, გარემოს დაბინძურებაზე ჯარიმის ოდენობა 50, მაქსიმალური კი 5000 ლარით განისაზღვრა. თანხას ნაგვის მავნებლობა და წონა განსაზღვრავს. დგინდება მწარმოებლის ვალდებულებაც. ამ უკანასკნელს ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და გარემოსთვის უსაფრთხო ადგილას განთავსება დაევალება.

მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეს უფრო თვითშეგნებისა და შინაგანი კულტურის საკითხია, რაც კანონსა თუ მთავრობაზე მეტად, თავად მოქალაქეებზეა დამოკიდებული.

გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ნაგვის დაყრაზე მონიტორინგს სამი უწყება: საპატრულო პოლიცია, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და მერიის შესაბამისი სამსახურები განახორციელებს. მათივე თქმით, ერთი წლის განმავლობაში, ურნების რაოდენობაც გაიზრდება როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, სადაც ამ მხრივ გაცილებით მწვავე სურათია.

რუსთავის მკვიდრი **რევაზ ბარბაქაძე** ადასტურებს, რომ მოქალაქეები ხშირად ანაგვიანებენ გარემოს: **„არის ადამიანების კატეგორია, რომლებშიც თვითშეგნების დონე სამწუხაროდ დაბალია. მოსახლეობა აბინძურებს ქალაქს და უდიერად ეპყრობა ბუნებრივ ტყე-პარკსაც. მას რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მაგრამ შადრევანში ნაგავს დღემდე ყრიან. ამ კატეგორიის ადამიანებზე უპირობოდ იმოქმედებს მსგავსი ჯარიმები. ქალაქში ნაგვის ურნების პრობლემაც მწვავედ დგას და მოქალაქეები, რომლებსაც სულაც არ სურთგარემოს დანაგვიანება, ზოგჯერ იძულებულები ხდებიან, ასე მოიქცნენ. ძველი ურნების დიდი ნაწილი დაიწვა. ვფიქრობ, პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაწყდეს — მოსახლეობის შეგნებაც უნდა ამაღლდეს და მერიამაც უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ ადამიანები იძულებულები არ გახდნენ, სიგარეტის ნამწვი თუ ნაგავი ქუჩაში დაყარონ: საფერფლეები უნდა დამონტაჟდეს, ურნები უნდა დაამატონ...“**

ურნების რაოდენობა არასაკმარისია დედაქალაქშიც. მერიის პრესცენტრში განგვიცხადეს, რომ ათასამდე კონტეინერი და ურნა დამონტაჟდება თბილისის იმ უბნებში, სადაც მათი ნაკლებობაა. „ვერსია“ ასევე დაინტერესდა, რატომ ხდება ურნების გაცლა დღის განმავლობაში? ნაგვის მანქანების მოძრაობა ისედან საცობებით გატანჯულ თბილისელებს, გარკვეულწილად გადაადგილების პრობლემასაც უქმნის და დისკომფორტსაც. მერიის პრესსამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, ამ საკითხზეც იზრუნეს და უკვე 2 კვირაა, საღამოს 18:00-დან 20:00 საათამდე, ქალაქის ცენტრალურ უბნებში ნაგვის მანქანები აღარ მოძრაობენ.

რაც შეეხება სხვა სანქციებს, მუნიციპალური 1.2 კგ-მდე ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს დაჯარიმებას 80 ლარით. თუ მოქალაქე ამ ნაგავს საცხოვრებელი სახლიდან ან სხვა შენობა-ნაგებობიდან გადმოყრის, 100 ლარის გადახდა მოუწევს. ნაგვის ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან გადმოყრის შემთხვევაში მძღოლი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემთხვევაში კი ნაგვის გადმომყრელი დაჯარიმდება 120 ლარით. 2კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 150 ლარით, იურიდიული პირისა კი — 500 ლარით. 5 ერთეულამდე საბურავით (გარდა ველოსიპედის საბურავისა) გარემოს დანაგვიანება 150 ლარით ისჯება. 5.5 ან მეტი ერთეულით კი — 500 ლარით. 6.2 კგ-მდე ბატარეის, აკუმულატორის, ელექტრონათურის, ელექტროსაქონლის, გრაფიტის ელექტროდის, ბასრი ან მჩხვლეტავი საგნის ნარჩენით გარემოს დანაგვიანება 100 ლარით ისჯება.

სახიფათო ნარჩენების გარეთ დამუშავება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირს კი, იგივე ქმედებისთვის 1 500 ლარის გადახდა მოუწევს.

კანონი ეხება საკმაოდ პრობლემატურ საკითხს — ცხოველების ნარჩენებსაც. ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობით ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურების შემთხვევაში პატრონს 50 ლარის გადახდა მოუწევს.

საკანონმდებლო ცვლილებებს მიესალმება მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე, ეკოლოგი **ნინო ჩხობაძე: „დიდი ხანია ამ კანონზე საუბრობენ. სანქციები ადრეც არსებობდა, მაგრამ არ სრულდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ ახლა, ლეგალურ დოკუმენტს აღსრულებაც მოსდევს. აუცილებელია თვითშეგნების გაზრდა. ჩვენ ვახორციელებდით კამპანიას „დავასუფთავოთ საქართველო“. სხვა ორგანიზაციებთან ერთად, მუნიციპალიტეტებსა და მოსახლეობაში დიდი სამუშაო გავწიეთ. ეს კანონი არეგულირებს არამარტო თბილისის მერიის, არამედ ყველა სხვა მუნიციპალიტეტის ჩართულობასაც, მაგრამ სანქციები ყველგან არ იმოქმედებს, მაგალითად — ხულოში, საიდანაც ნარჩენების გატანა არ ხდება. სტრატეგიის მიღების მერე, მთელი საქართველო უნდა მოიცვას“.**



ლურჯი ფერი გახდომის მსურველთათვის

ზედმეტი კილოგრამების მოშორება ყველა ადამიანის სურვილია, მაგრამ ამის გაკეთება არც ისე ადვილია, რადგან ხშირად მადა ნებისყოფაზე იმარჯვებს. ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ თურმე, ტანსაცმლის ფერიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მადის გაძლიერებაში, ვიდრე ფიზიოლოგიური მაჩვენებელი. იმ ადამიანებს, ვისაც ცივი შეფერილობის — ლურჯი, იისფერი, ჟოლოსფერი, ნაცრისფერი, შავი და თეთრი სამოსი აცვიათ, ზომიერი მადა აქვთ, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს უარი თქვან ჭამაზე. ნარინჯისფერი, რძისფერი და კაკაოსფერი აძლიერებს ლტოლვას ტკბილეულისადმი, ასტიმულირებს მადას, ცხიმიანი საკვების მოთხოვნილებას, აუმჯობესებს განწყობას. ლურჯის, ცისფერის, მწვანესა და ფირუზისფერის მოყვარულები ბევრად ნაკლებს ჭამენ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ფერებთან დაკავშირებული ეს კანონზომიერება ვრცელდება არა მხოლოდ ტანსაცმელზე, არამედ ჭურჭელზეც. მაგალითად, ნარინჯისფერი არშიით გაწყობილი თეთრი თეფში ქალის მადის „მთავარი მტერია“. სამაგიეროდ, კარგი „დიეტოლოგია“ იისფერი ან ლურჯორნამენტებიანი ცისფერი თეფში. ასე რომ, მშვენიერო ქალბატონებო, თუკი წონაში დაკლება გსურთ, გაითვალისწინეთ ექსპერტების რჩევა და თქვენი ტანსაცმლის ან ჭურჭლის ფერი შეცვალეთ. მაგრამ შეეცადეთ, ექსპერიმენტები გატაცებად არ გექცეთ.

საიდუმლოს შენახვა ჯანმრთელობას ვნებს

ცნობილია, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლების უმრავლეობას უჭირს საიდუმლოს შენახვა. მიზეზი კი, როგორც გაირკვა, ის ყოფილა, რომ საიდუმლო ცხოვრებას ართულებს. ტაფტსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ საიდუმლოება ადამიანის ემოციურ დატვირთვას აძლიერებს, ეს კი მის ფიზიკურ მდგომარეობაზე აისახება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, ვინც ინახავს საიდუმლოს, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმეებს სირთულეებად აღიქვამს. ასეთი დასკვნები ექსპერიმენტის შედეგად გაკეთდა, რომელშიც მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს: ერთ ნაწილს სთხოვეს, გაეხსენებინათ რაიმე მნიშვნელოვანი საიდუმლო, რომელიც მათ გაანდეს, მეორე მხარეს კი — ნაკლებ მნიშვნელოვანის. შემდეგ ყველა მონაწილეს ერთი და იგივე დავალების შესრულება მოსთხოვეს. აღმოჩნდა, რომ მარტივი ამოცანა პირველი ჯგუფის წევრებისთვის ბევრად რთული აღმოჩნდა, ვიდრე მეორე ჯგუფისთვის. სწავლულებმა დაასკვნეს, რომ რაც უფრო მნიშვნელოვან საიდუმლოს ინახავს ადამიანი, მით რთულია მისი ცხოვრება. და რა გამოდის — ქალებს, უბრალოდ, არ სურთ ცხოვრების გართულება და ამოს გამო ისინი საიდუმლოს ვერ იანახავენ?!

კლიენტებს წყლის ნამცხვარს სთავაზობენ



ადამიანს ცხოვრების განმავლობაში უამრავი ნამცხვარი დაუგემოვნებია, მაგრამ რასაც იაპონელები გვთავაზობენ, ნამდვილი სასწაულია. ეს წყლის ნამცხვარია — გემრიელი დესერტი, რომელიც მხოლოდ წყალია. დელიკატესი ნახევარ საათში მზადდება, მერე კი წყლის გუბედ გადაიქცევა. ერთი შეხედვით, ახალი ნამცხვარი უზარმაზარ, უფერულ, ჟელეს გუნდას ჰგავს, პირში დნება და მსურველს მის დასაგემოვნებლად დრო მხოლოდ 30 წუთი აქვს. სწორედ ამიტომ დესერტის მირთმევა მხოლოდ რესტორანშია ნებადართული. დელიკატესი ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებლებს პირველად გასულ წელს შესთავაზეს, ის ერთგვარი ტესტი იყო. თუმცა, ნამცხვარი მალევე გახდა პოპულარული და მენიუშიც მალევე შეიტანეს. წყლის ნამცხვარი მხოლოდ Kinseiken-ის ქსელში იყიდება. როგორც დელიკატესის ავტორები ამბობენ, ჟელე წყლისგან მზადდება და სასიამოვნო, ბუნებრივი ტკბილეულია. ჟელეს უმატებენ კინაკოსა (მოხალული სოიოს პუდრი) და ყავისფერი შაქრის სიროპს.

სუდოკუმანია

ადვილი

		6		8	4			
			9				8	3
9				5				
						8	2	4
	6	5	8		3	1	9	
1	4	8						
				3				9
3	7				2			
			4	1		2		

სტანდარტი

7	9				5			
	1					8	6	
		3	8				7	
		7					8	
5			3		2			7
	3					6		
	5				8	1		
	7	4					5	
			1				3	9

რთული

	1			3				
		7	1			6		
6		3					8	
		2	9	5			7	
		1				9		
	9			4	7	3		
	7					5		4
		8			5	7		
				7			9	

ექსპერტი

					9		4	7
			7			6		8
		6			3			
		3						9
		1	8		4	3		
6						5		
			3			2		
9		4			2			
7	3		5					

პიცის ქურდმა ფული წლების შემდეგ გადაიხადა

მამაკაცმა, რომელმაც 2002 წელს ერთ-ერთი რესტორნიდან პიცა მოიპარა, დაწესებულების მფლობელს კერძის ღირებულება 13 წლის შემდეგ, პროცენტებით გადაუხადა. რესტორნის მეპატრონემ ერთ-ერთ საიტზე გამოაქვეყნა წერილის ფოტო, რომლის ავტორიც მას ამცნობს, რომ ვალს უბრუნებს და საკუთარ საქციელსაც ხსნის: მაშინ ფული არ მქონდა, არადა, სახლში მშიერი პატარა მელოდებოდაო. მოვალე-მამაკაცი წერს, რომ პიცა 20 დოლარი ღირდა, მაგრამ მან თანხას ღირებულების 8% დაუმატა ყოველ განვლილ წელზე და ჯამში დაწესებულებას ვალი 54,39 დოლარის ოდენობით დაუბრუნა. გადახდილი თანხის ჩეკი თან ერთვის წერილს. მისი ავტორი ამბობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობდა და საკუთარი ბიზნესიც აქვს, თუმცა, გამუდმებით აწუხებდა სირცხვილის გრძნობა მოპარული პიცის გამო. პიცერიის მეპატრონე აცხადებს, რომ აღფრთოვანებულია მამკაცის საქციელით. საიტმა, რომელმაც ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა, არ დაასახელა, კონკრეტულად რომელ ქვეყანასა და ქალაქში მოხდა ეს ამბავი.

ნარეი მუშაობისთვის ღორებს

ჩინური ფირმის წარმომადგენლები, რომელიც უძრავი ქონების გაყიდვითაა დაკავებული, საუკეთესო თანამშრომლებს, პრემიის სახით, ცოცხალ ღორებს პირდებიან. ცხოველები კი შეუძლიათ მოიგონ კორპორატიულ წვეულებაზე, რომელიც ჩინური ახალი წლის აღსანიშნავად იმართება. ცხოველთა დაცვის საზოგადოების წარმომადგენლები ამ სიახლემ შოკში ჩააგდო. ისინი ასეთი სასტიკი თამაშების ჩატარებას ეწინააღმდეგებიან ად ამტკიცებენ, რომ პატარა ბინებში მცხოვრები ჩინელები ვერსად დატევენ ღორებს. მიაქცია თუ არა ყურადღება კომპანიამ ცხოველთა დამცველების პროტესტს, უცნობია. ცნობილია ის, რომ უფრო ადრე იგივე ფირმამ სახელი იმით გაითქვა, რომ თანამშრომლებს ცხენებსა და სახედრებს ურიგებდა. კიდევ ერთი ჩინური კომპანია „გამორჩეული“ გახდა იმით, რომ საუკეთესო თანამშრომლებს პოპულარულ პორნოვარსკვლავთან ღამის პაემნებს ჰპირდებოდა.

მსუქნები უფრო ჭკვიანები არიან

ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, მსუქანი ქალები ინტელექტის უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან, ვიდრე მოხდენილი სხეულის მქონე სუსტი სქესის წარმომადგენლები. მკვლევართა ექსპერიმენტში მონაწილეობა 15 ათასზე მეტმა მანდილოსანმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ინტელექტის მაღალი დონე აჩვენეს არა მხოლოდ გამორჩეული ფორმის, „ფუმფულა“ ქალებმა, არამედ მათმა შვილებმაც. სწავლულები არ არიან დარწმუნებულნი, რომ მაღალი ინტელექტი არ არის რომელიმე საზოგადოებრივი ფენის კუთვნილების შედეგი. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, სხეული არ წარმოადგენს მთავარ კრიტერიუმს მამაკაცის მიერ ქალის არჩევისას.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	2	8	6	1	5	4	3	9
9	1	6	3	4	7	8	5	2
5	4	3	2	9	8	1	7	6
6	9	5	4	3	2	7	1	8
8	7	2	5	6	1	9	4	3
1	3	4	8	7	9	2	6	5
4	5	9	7	2	6	3	8	1
3	6	1	9	8	4	5	2	7
2	8	7	1	5	3	6	9	4

სტანდარტი

5	4	6	2	3	1	7	9	8
3	7	9	8	6	5	4	2	1
2	1	8	9	7	4	6	5	3
8	9	3	7	5	6	2	1	4
1	2	7	4	9	3	8	6	5
4	6	5	1	2	8	3	7	9
9	8	4	6	1	2	5	3	7
7	5	2	3	4	9	1	8	6
6	3	1	5	8	7	9	4	2

რთული

6	7	3	9	1	8	5	4	2
5	4	2	7	3	6	1	9	8
1	9	8	5	4	2	7	3	6
4	6	1	8	9	7	3	2	5
3	2	7	1	6	5	9	8	4
9	8	5	4	2	3	6	1	7
2	3	4	6	5	1	8	7	9
7	5	9	3	8	4	2	6	1
8	1	6	2	7	9	4	5	3

ექსპერტი

9	6	7	5	1	3	4	2	8
4	8	1	2	7	9	3	6	5
5	3	2	4	8	6	1	9	7
8	2	9	7	3	1	6	5	4
6	5	4	9	2	8	7	3	1
1	7	3	6	5	4	2	8	9
3	4	8	1	9	2	5	7	6
7	9	6	3	4	5	8	1	2
2	1	5	8	6	7	9	4	3

მე-12 გვერდი: 1. ცელულოზა; 2. მხედარი; 3. ციცინათელა; 4. ლუდი; 5. ლავა; 6. „ხაზარულა“; 7. დრიბლინგი; 8. რიდი; 9. ზნე; 10. ემინემი; 11. ვადუცი; 12. ზვიადი; 13. ილიონი; 14. დაჩი; 15. ულისე; 16. ერბო; 17. აული; 18. ამური; 19. რალი; 20. ბლითი; 21. რუბიკი; 22. იკაროსი; 23. ლენი; 24. გორი; 25. სელი; 26. კოინე; 27. აქტი; 28. აბაზი; 29. უნია; 30. იაიკი; 31. ქნესეთი; 32. ზებუ; 33. კამელია; 34. ინარი; 35. ლავისი; 36. ნები; 37. ზმნა; 38. ობი; 39. ონონი; 40. ონი; 41. საუზმე; 42. ტემზა; 43. კივი; 44. შეფი; 45. მნე; 46. სკა; 47. ნასა; 48. ფიდიასი; 49. ორთი; 50. ოლარი; 51. აქერონტი; 52. ტივი; 53. ტირიფი; 54. ყირიმი; 55. მონტეგი; 56. ეიფელი; 57. ალთაი; 58. დიადოქოსები; 59. შილერი; 60. სისლეი; 61. ელვა; 62. ენა; 63. შარშან; 64. კარუსელი; 65. ტილი; 66. ლოყა; 67. პიერ; 68. ტარო; 69. ტუია; 70. ურო; 71. სტოა; 72. ტიკი; 73. „ლეგია“; 74. ტიპი; 75. აკიდო; 76. მეფე; 77. გეგუთი; 78. უთო; 79. ინცესტი; 80. დუ; 81. გო; 82. ეკო; 83. სიო; 84. იტი; 85. ფილისტერი; 86. ია; 87. სუ; 88. ალსუ; 89. გიდი; 90. იაბო.

მომღერალმა მიკროფონი გადაყლაპა

ამერიკული ჰარდკორ-ჯგუფის Live It Down-ის ვოკალისტმა ერიკ სარნომ, ქალაქ კლივლენდში მიმდინარე კონცერტზე მიკროფონი გადაყლაპა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ჯგუფის წევრებმა აღიარეს, რომ სარნო რეგულარულად მღერის ასე — მიკროფონი ლამის პირში უდევს. ამჯერად კი სოლისტმა ვერ გათვალა და მაყურებლებში ერთ-ერთი გადახტომისას მიკროფონი მის საყლაპავში აღმოჩნდა. თუმცა, კონცერტი გაგრძელდა და მუსკოსები ცდილობდნენ, დაზარალებულის მუცელსა და ყელთან ემღერათ. მოგვიანებით კი ნივთი წარმატებით ამოიღეს მუსიკოსის კუჭიდან. .

1. ძაფებით მოძრავი თეატრალური თოჯინა
2. მოკლე დისტანციაზე სირბილი
3.სპორტული სირბილი 45 კმ-სა და 195 მ-ზე
4. ინგლისური საინფორმაციო სააგენტო
5. ქალაქი რუსეთში
6. მწვავე კამათი, დისკუსია
7.იტალიის საფეხბურთო კლუბი
8. მოკლე მუსიკალური მისალმება
9.პლანეტა ვენერას ერთ-ერთი სახელწოდება
10. ხელოვნური საერთაშორისო ენა
11. სახურავიანი ხის ყუთი
12.ბრტყელი და თხელი პური
13.იაპონური საბრძოლო ხელოვნება
14. მუსიკალური გამის VII ნოტი
15.ჰოლივუდის ლეგენდა ... ჰეპბერნი
16. ორ ენაზე შედგენილი ტექსტი
17. უუფლებო ადამიანი
18. სასვენი ნიშანი
19.ესპანური ცეკვა
20.ჯავშნიანი რეპტილია
21. (მოძვ.) ქირურგი
22. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
23.ფეხბურთის კარში გატანილი ბურთი
24.კოლუმბის მშობლიური იტალიური ქალაქი
25. გათენება, გარიჟრაჟი
26. „ყველაფრის მკურნალი“
27. ძველ რომაელთა სამოსი
28.ნახევარწრედ გამოწეული ნაწილი ბაზილიკაში
29. მედლის წინა მხარე
30.ფრანგი დიზაინერი ჟან-პოლ ...
31. ასტრონომიული ხელსაწყო
32. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
33. სულ მცირე განსხვავება რამეში
34.ჯუზეპე ვერდის ოპერა
35.მართლმადიდებელ მამათა დიდი მონასტერი
36. ბიბლიური დაავითის იარაღი
37. ცხელი მატონიზირებელი სასმელი
38. ბგერის გრაფიკული ნიშანი
39.დაბალი დიპლომატიური რანგი
40. პარფიუმერიაში ხმარებული მცენარე
41. ექსკურსიამ-ძღოლი
42. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
43. პარფიუმერიული ნაწარმი
44. ლონდონის აეროპორტი
45.ქამუშაძის სახელი
46.ამირანის ძმა
47. საქონლის შესაფუთი მასალა
48. ანტილოპას სახეობა
49. ჟურნალისტის საუბარი ვინმესთან აქტუალურ საკითხებზე
50.გიორგი საკაძის თავმოჭრილი ვაჭი
51. ვემის სელის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო
52. სკოლის დამთავრების მოწმობა
53. დიდი მუწუკი
54. მაგარი ქანი
55. კუბის დედაქალაქი
56. მდინარე ქუთაისში
57. მუხის ნაყოფი
58. ბატკნის მოგების დრო
59.ქართული ფილმი „ჩემი მეგობარი ...“
60. ბიბლიური ჯადოსნური თასი
61. ინგლისელი მსახიობი ჯუდ ...
62. ჭადრაკის ფიგურა
63. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
64. ყანის მავნებელი მწერი
65. ჩრდილოამერიკული დათვი
66. ერკიულ ...
67. სამოას დედაქალაქი
68. კვარცის ნაირსახეობა
69. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
70.გოლიათი მონადირე ბერძნულ მითოლოგიაში
71. მხარზე გადასაკიდი ქსოვილი ჩანთა
72. ფრანგი კომპოზიტორი
73. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
74. ბაშკირეთის დედაქალაქი
75. ცივი იარაღისგან თავდასაცავი საომარი საჭურველი
76. დიდი თევზსაჭერი ბადე
77. ქალაქი თურქეთში
78. ცხოველთა მეფე
79. ბერიკაობის თითოეული მონაწილე
80. ცეცხლის მნათი ნაწილი
81. მზის ღმერთი ძველეგვიპტურ მითოლოგიაში
82.ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი
83.მაღალი, მხარბეჭიანი და ტანადი ადამიანი
84. სამი წერტილი კამათელზე
85.ყველაზე ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი
86. ლონდონის საქმიანი ცენტრი
87.ცხვრის ყველის სახეობა
88. დიდი თეფში
89.წარწერა კინოფილმის კადრზე

კოქტეილი პარფიუმის არომატით

გერმანიის დედაქალაქში ახალი ბარი გაიხსნა, სადაც ყველა სასმელი პოპულარული პარფიუმერული არომატების მოტივებით მზადდება. Fragrances-ის გამოცდილმა მიქსოლოგებმა ხილის ლიქიორისგან, ყვავილის ექსტრატებისგან, ესენციებისა და სხვა ნატურალური ინგრედიენტებისგან Salvatore Ferragamo, Armani, Etro, Guerlain-სა და სხვა მსოფლიოს ცნოილი მოდის სახლების არომატების კოქტეილი-ასლები შექმნეს. ბარის მენიუს წარმოადგენს სტენდი სუნამოებით — კლიენტებს შეუძლიათ აირჩიონ თავიანთი საყვარელი სურნელი და მას გემო კოქტეილური ვერსიით გაუსინჯონ. დაწესებულებაში სასმელის ფასებიც შესაბამისია: მაგალირად, ერთი ბოკალი კოქტეილი Angelique Noire, Guerlain-ის მოტივებით 27 დოლარი ღირს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.